

ახალი თაობა



გართობისთვის **გვ.5**
4.471.346
ლარი
დაიხარჯა



ორშაბათი, 16 მაისი, 2016

№114 (7040)

ფასი: 50 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან მიდის?



ლადო
სადღობელაშვილი:
„მოსახლეობა
„ოცნებასა“ და
ნაციონალებს
ერთად მოიშორებს“

გვ.2

„პარლამენტის
სხდომების შედეგ
ნახები და ქოხები
ერთად შეიფარები“



ჯონდი ბალათური:
„პაატა ბურჭულაძე ჩვენი
საკრედიტო კანდიდატი
უნდა ყოფილიყო“



გვ.4

„ქართული
ოცნების“ ყრილობა
ხომ ნახეთ,
მოქალაქეთა
კავშირის ყრილობა
გამახსენდა, ერთი
პარტია რომ
არსებობდა და
ბანკირი,
მომღერალი, პოეტი,
კლოუნი, ქვის
მსროლელი –
ყველა იმ პარტიაში
უნდა ყოფილიყო.



თამაზ მეჭიაური:
„ყრილობის
ნაცვლად
თელავში ნაველი“ **გვ.2**



„ივანიშვილი
მეტისმეტად
ოპტიმისტურად
არის
განწყობილი“

**მამუკა
მდინარაძე:**
„გუნდურობის
პრინციპი წინა
პლანზე უნდა
იყოს“ **გვ.3**



მირიან მირიანაშვილი:
„უნდა შეიქმნას ხალხის ნაპარსვი
ქონების ამოღების მექანიზმი“



გვ.4





ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან მიდის?



შორენა მარსაგიშვილი

რას ნანობენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რაზე გაურიგდა ხელისუფლება ნაცმოძრაობას, რატომ მიდის ქვეყნიდან ივანიშვილი? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

— 14 მაისს გამართულმა „ქართული ოცნების“ ყრილობამ საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ ამ პარტიას ხალხი ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად მოიშორებს. ამ ყრილობაზე მხოლოდ ორი პოზიტივი იყო — ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ლარიბაშვილი. ნაციონალებთან გარიგებით იმდენი ქნეს, რომ 8.000 მხარდამჭერიც კი ვერ მოაგროვეს თბილისში. სპორტის სასახლის გასასვლელად რეგიონებიდან ჩამოიყვანეს ხალხი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ „ქართულ ოცნებას“ თბილისში მხარდამჭერები არ ჰყავს. ნაციონალურ მოძრაობას თავისი მმართველობის ბოლო წლებში ასეთივე პრობლემები შეექმნა თბილისში. ამ ყრილობის შემდეგ ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი პრობლემები შეექმნება არა მარტო თბილისში, არამედ — რეგიონებშიც.

— რატომ გგონიათ, რომ ხელისუფლებას დამატებით პრობლემებს მოუტანს ყრილობა?

— ყრილობაზე გვითხრეს, რომ პოლიტსაბჭოში შეიყვანეს სადღური და საგანელიძე. ერთიც და მეორეც „ქართული ოცნების“ ეკონომიკური შეცდომაა. მათ მოწვევებს და შეჭამებს მთელი საქართველო. რადგანაც ხელისუფლება უარს ამბობს ამ შეცდომის გამოსწორებაზე, ეს მათ ბევრ მხარდამჭერს დააკარგვინებს.

მხარდამჭერებს მათ კიდევ ბევრი რამ დააკარგვინებს. ამ ყრილობაზე მე ვიხილე ის ბიზნესმენები, რომლებიც წლების განმავლობაში



ნაციონალების ყველაზე მსხვილი დამფინანსებლები იყვნენ. ამ ყრილობაზე ვიხილე ნაციონალების აქტივისტები და კოორდინატორები. ფაქტობრივად, მთელი ნაცმოძრაობა, ლიდერების გარდა, იქ იყო. სამაგიეროდ, ის ხალხი არ მიინვიეს, რომლებიც მთელი ეს წლები რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

— ეს რისი ან ვისი ბრალია?

— ვისი ბრალია, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, ეს რასაც ნიშნავს — „ქართულმა ოცნებამ“ გარიყა ყველა ის ადამიანი, რომლებიც ნაცმოძრაობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამას თავისი ახსნა აქვს — ნაციონალური მოძრაობის გარეშე „ქართული ოცნება“ ვერ იარსებებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ოპონენტად დისკრედიტებული ძალა ანყობს. ყველაფერს გააკეთებენ, რომ ეს ძალა დიდხანს დარჩეს პოლიტიკურ ველზე, რათა შემდეგ მათზე იხალისონ.

— საკითხავია, ვინ ვისზე ხალისობს. ბოლო დროს ნაციონალები ხალისობენ, მგონი, ამათზე.

— ნაციონალები რას შერებია, არ ვიცი,



ლადო სადღობელაშვილი:
„მოსახლეობა „ოცნებასა“ და ნაციონალებს ერთად მოიშორებს“

ნადია, პოლიტიკაშია.

ხელისუფლება საარჩევნო სიის პირველ ათეულში ირინა ფრუიძესაც შეიყვანს. ამ ადამიანს დიდ პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ ის პარტიას ინტელექტუალურ ელფერს შესძენს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი წამით წარმოიდგინეთ ის და მიშა მაჭავარიანი პოლიტიკურ დებატებში. ეს იქნება დაახლოებით, იცით, რა, ბრაზილია საქართველოს ფეხბურთს რომ ეთამაშოს.

— და ბრაზილია რომელი იქნება?

— მაჭავარიანი. მოგონს თუ არ მოგონს, ფაქტია, ეს კაცი არის პოლიტიკური კიტი. ასეთი კიტებით სავსეა ყოფილი ხელისუფლება. „ქართული ოცნება“ კი პოლიტიკურ პარტიადაა ვერ ჩამოყალიბდა.

— ნაცმოძრაობა პოლიტიკური კიტებით არისო სავსე, ამბობთ, ეს კიტები რომ წელ-წელა მიდიან პარტიიდან, ამაზე რას ფიქრობთ? არ სუსტდება ეს პარტია?

გაგრძელება მე-3 გვერდზე

თამაზ მეჭიაური: „ყრილობის ნაცვლად თელავში ნაპედი“



შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური კვლავ ყურადღების ცენტრშია. რესპუბლიკელები ჯერ კიდევ წინა კვირაში ზეიმობდნენ „ქართული ოცნებიდან“ მის წასვლას. თინა ხიდაშელი იმისთვისაც კი შზად იყო, რომ საკუთარი ხელით გაკეთებული საქმე-ლი გაეგზავნა მისთვის სახლში. თავდაცვის მინისტრს წინსაფრის აფარება ნაადრევად მოუხდა — მეჭიაური წასვლას არ ჩქარობს.

რამდენიმე დღის წინ მან განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ მიიღებდა. ივანიშვილის გარდა, ის გიორგი კვირიკაშვილთანაც გეგმავდა შეხვედრას.

ამ უკანასკნელს საფინანსო კომიტეტის თავკაცი დიპლომატიურად შემოეკრიტიკა. პრემიერმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ განსხვავებული საგარეო კურსის გამო მეჭიაური მათ გუნდში ველარ იქნებოდა. ამ პოზიციისთვის მთავრობის მეთაურმა რესპუბლიკელებისგან დიტირამებიც მიიღო.

კვირიკაშვილის მიერ შერისხული დეპუტატი თავის თანაკურსელ ბიძინა ივანიშვილს პირისპირ შეხვდა. შეხვედრა „ქართული ოცნების“ ყრილობაზე შედგა. თავად ყრილობას მეჭიაური არ დასწრებია. როგორც ჟურნალისტებს განუცხადა, ქუთაისიდან თბილისისკენ მომავალმა იფიქრა და ყრილობაზე მისვლას თელავში სტუმრად წასვლა არჩია, მანამდე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანიშვილს ესტუმრა.

— მეტისმეტად ოპტიმისტურია ბატონი პრემიერისა და ყოფილი პრე-



„ივანიშვილი მეტისმეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი“

მიერის ბიძინა ივანიშვილის იმედები, რომ ჩვენ გავერთიანდებით და შევალთ ნატოში. არ ვიცი, რას ემყარება ეს ოპტიმიზმი. ბატონი ბიძინა ივანიშვილისგან ყრილობის დაწყებამდე მოვისმინე არგუმენტები ამ საკითხთან დაკავშირებით, — განაცხადა მედიასთან საუბარში დეპუტატმა.

ეტყობა, ნაპრემიერალმა ნატოსთან დაკავშირებული ოპტიმიზმი თანაკურსელს ვერ გადასდო. თამაზ მეჭიაური ნატოსთან დაკავშირებით პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

მართალია, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის იმედი არ აქვს, მაგრამ სხვა საკითხების მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი, ამბობს, რომ, ნატოს გარდა, გუნდის სხვა პოზიციებს იზიარებს.

— ვისაუბრეთ სხვა საკითხებზეც. ბევრი საერთო აზრიც აღმოგვაჩნდა, საერთო ხედვებიც. მე, ალბათ, ისევ გაავარძელებ გუნდის მხარდაჭერას ძირითად საკითხებში, — ამბობს საფი-

ნანსო კომიტეტის თავმჯდომარე.

ახლა მეჭიაური მოქმედ პრემიერთან აპირებს შეხვედრას, მანამდე კი პირობას დებს, რომ, ანტინატოური განწყობის მიუხედავად, გუნდს ამ მმართველობით პრობლემებს არ შეუქმნის.

ამის იმედი აქვს გიორგი კვირიკაშვილსაც, რომელმაც ბოლომდე ვერ გაიგო, რატომ წავიდა მეჭიაური თელავში.

— თამაზ მეჭიაურს გაეუფავანეთ მოსანვევი, მე სპეციალურად გაეუწიე კონტროლი, ვერ გეტყვით, რატომ არ დაესწრო. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ჩვენ გვაქვს ამ საკითხის ძალიან აქტიური განხილვები. ეს იქნება გუნდური გადაწყვეტილებები. უახლოეს კვირებში ჩვენი გუნდის კიდევ ახალ წევრებს წარმოგიდგენთ.

ეს არ არის პიროვნული საკითხი, ეს არის გუნდის კონსოლიდაციის საკითხი. არ უნდა არსებობდეს სტრატეგიულ საკითხებთან მიმართებით აზ-

რთა სხვადასხვაობა. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ბატონი თამაზი ამას არ მალავს. მას აქვს განსხვავებული მოსაზრება საქართველოს პოლიტიკურ ვექტორთან მიმართებით, ამიტომ, სავარაუდოდ, ის თავადაც მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ არ იქნება ამ მოვლენებში, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ მძიმე გადაწყვეტილებების მიღებას არასდროს გაუზრდოდა. ამის მიუხედავად, არ აპირებს, რომ მეჭიაურს თავად მიუთითოს წასვლისკენ. პრემიერის თქმით, ეს მისი მხრიდან არაეთიკური საქციელი იქნება.

— ეს არის დელიკატური საკითხი. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც ადამიანებთან მიმართებით ასე იქცევა, რომ მე მივიღებ გადაწყვეტილებას და ვიტყვი, ბატონი თამაზი აღარ იქნება. არ ვიტყვი ამას. მე საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილებები მიმიღია, ამის უნარის ნაკლებობას არ განვიცდი. ყველა ადამიანთან უნდა მოვიქცეთ ღირსეულად. ბატონი თამაზი ურთულეს პერიოდში დგამდა თამაზ ნაბიჯებს. ჩემი მხრიდან უკიდურესად არაეთიკური იქნებოდა, რომ მე მივიღო გადაწყვეტილება. ბატონი თამაზთან ერთად ჩვენ შევთანხმდებით. ვფიქრობ, მისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები მნიშვნელოვნად არის აცდენილი ჩვენი გუნდის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

◆ ◆ ◆

ჯერჯერობით უცნობია, თუ სად წავა მეჭიაური. მასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, ის მრეწველობის პარტიაში გადავა და მათთან ერთად იყრის კენჭს. ნატოსთან დაკავშირებით საფინანსო კომიტეტის თავკაცს

ამ გუნდში პრობლემები არ შეექმნება. მრეწველობა „ვერსუშკა“ ნატოს მეჭიაურზე მეტად ვერ იტანს.

სხვა ვერსიით, მეოცნებეების მიერ გვემუღი მეჭიაური პატრიოტთა ალიანსში გაერთიანდება. ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა რამდენიმე დღის წინ ღია მხარდაჭერა გამოუცხადა დეპუტატს.

— ბატონი თამაზი მარტო არ არის, — აღნიშნა ინაშვილმა.

ნატოზე მომდურებული დეპუტატის მომავალს ზოგიერთი იმ გაერთიანებასაც უკავშირებს, რომელიც ახლო მომავალში გაფორმდება. როგორც ამბობენ, ამ გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი ძებნაში მყოფი ლევან მამალაძე იქნება.

თამაზ მეჭიაურის გვარი ექსპრემიერ ირაკლი ლარიბაშვილსაც დაუკავშირდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვრცელდებოდა ხმები, რომ ის საკუთარი პარტიის შექმნას აპირებდა.

„ქართული ოცნების“ ყრილობაზე მის გამოჩენას სხვა მითქმა-მოთქმაც მოჰყვა. ერმა ჩათვალა, რომ ის მეოცნებეთა სიაში იქნებოდა. თუმცა ეს ოცნებები ყრილობის ბოლომდე გაგრძელდა.

როგორც ლარიბაშვილმა „ქართული ოცნების“ ყრილობის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ის არც „ოცნებაში“ იყრის კენჭს და ჯერჯერობით არც ახალი პარტიის შექმნას აპირებს.

— როგორც ყოფილი პრემიერი და როგორც „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარე, შზად ვარ, თუკი გუნდს დასჭირდება, მხარში დავუდგე არჩევნების განმავლობაში. სიაში არ ვიქნები, რადგან პარტიის თავმჯდომარე ვიყავი. მინდა, წარმატება ვუსურვო ახალ გუნდს, — განაცხადა ლარიბაშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი
გამოდის
1993 წლის
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბჟაღრაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — ჯორა ბალავაძე

დაკავალბნება — ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, შოთა ქაქაშვილი

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გაფრცხვლების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



მამუკა მდინარაძე: „გუნდურობის პრინციპი წინა პლანზე უნდა იყოს“

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე პოლიტსაბჭოს ახალი, 21-წევრიანი შემადგენლობა აირჩიეს. მათ შორის ახალი წევრები, სოფო კილაძე, დავით კოლუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ირინა ფრუიძე და რომან კაკულია დასახელდნენ. მმართველ პარტიაში აღნიშნავენ, რომ აქცენტი პროფესიონალიზმზე კეთდება და ამ კანდიდატების შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმიც სწორედ მათი ცოდნა და საქმიანი გამოცდილებაა. მმართველი გუნდის ახალი წევრი მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ მისთვის მთავარი გუნდურობის პრინციპია.



ნათია სურცილაძე

– **ბატონო მამუკა, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტსაბჭოს წევრად დაგასახელათ, ეს ნიშნავს თუ არა, რომ ავტომატურად იქნებით საარჩევნო სიასში? ასევე საინტერესოა, ვისთან გეონდათ კონსულტაციები, ვისგან მიიღეთ შემოთავაზება, ვინ გაგინათ რეკომენდაცია?**

– პირველი ნაბიჯი ჩემი მხრიდან გადაიდგა. მე ვიყავი ინიციატორი, რომ პარტიისთვის შემოთავაზებინა ჩემი გამოცდილება. თუ გჭირდება ბოდი გუნდს ჩემი გამოცდილებითა და ცოდნით, მე ვიყავი მზად, რომ „ქართულ ოცნებას“ გვერდით დავდგომოდი.

– **რა საერთო გაქვთ „ქართულ ოცნებასთან“, რამ მოგნიბლათ?**

– „ქართული ოცნება“ არის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ყველაზე გულწრფელია, რაც კი ბოლო დროს საქართველოში ყოფილა. არცერთი წინა ხელისუფლება არ მასწავლებდა, რომელსაც ამდენი სიკეთე მიუტანოს ქვეყნისთვის.

– **თუმცა, ოპონენტებმა შეიძლება სანინა-ალმდგომ თქვენ.**

– რა თქმა უნდა, შეცდომები იყო, მაგრამ ამ შეცდომებს ახალი ენერგია, ახალი ძალა გამოასწორებს და მე ამის მჯერა. თუმცა, ეს არის ძალა, რომელიც სწორ გზაზე დგას, რაც არის უმთავრესი. მე მივესალმები ამ პოლიტიკური ძალის მიდგომებს და სწორედ ეს იყო ჩემი მოტივაცია, რომ შევეერთოდი ამ გუნდს.

– **ვისთან გეონდათ კონსულტაციები?**

– პარტიის ლიდერებთან. შევხვდი „ქართული ოცნების“ ყველა ხელმძღვანელს. ხშირი კონსულტაციები მქონდა კახა კალაძესთან და ირაკლი კობახიძესთან. მე მჯერა, რომ ამ ძალას ჩემს გამოცდილებას მოეახმარ და ბედნიერი ვიქნები, თუ ეს კარგად გამოიყვან, მე ძალას არ დავიშურებ საამისოდ.

– **თუ გეონდათ შეხვედრა პრემიერთან? რადგან, რამდენადაც ვიცით, პოლიტსაბჭოს ახალმა წევრებმა გიორგი კვირიკაშვილთან გაიარეს ერთგვარი გასაუბრება, მაგალითად, საგარეო ვექტორთან დაკავშირებით და ა.შ.**

– დიას, შეხვედრა მქონდა, იყო ამ საკითხებზე საუბარი ბატონ პრემიერთან, რამდენიმე შეხვედრა იყო.

– **კონკრეტულად რაზე იყო საუბარი?**

– სწორედ იმაზე იყო საუბარი, რაც კითხვაში გაახმოვანეთ. საგარეო კურსზე, ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით, რა შეიძლება უკეთესად გავკეთდეს, გამოსწორდეს, შეიცვალოს, რეფორმების გატარებაზე იყო საუბარი და ა.შ. განსაკუთრებით მთავარი იყო ქვეყნის საგარეო ვექტორი და მისი განვითარება.

– **თქვენთან ერთად ასევე დასახელდნენ ბატონი კოლუაშვილი, რომელსაც, ასე თუ ისე, იცნობს საზოგადოება, რადგან ის ყოფილი პოლიტიკოსია და ქალბატონი ფრუიძე, ერთობლივი კონსულტაციები თუ იყო, ვინ რა მიმართულებაში იქნება, უკვე ცნობილია?**

– ჯერ ასეთი კონსულტაციები არ ყოფილა. პოლიტსაბჭო შეიკრიბება და იქ იქნება სამომავლო საკითხებზე საუბარი. სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდება ბევრი რამ.



– **თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენს გამოცდილებას მოახმარ გუნდს. ეს იქნება სამართლებრივი კუთხით?**

– დიას. საინტერესო ცხოვრება მქონდა, ბრალდებულის სკამიდან დანაშაულის დღემდე.

– **რატომ იყავით ბრალდებული?**

– 2004 წელს გამოძიებული ვიყავი ვაკე-საბურთალოს რაიონში. მერე იყო ყველასთვის ცნობილი შემთხვევა, როდესაც ჩემი, საგამოძიებო სამსახურის უფროსისა და ჩემი თანამშრომლის დაკავება მოხდა. ეს იყო ძალიან გახმაურებული ბათუმელი სტუდენტების საქმე. ამ საქმეში ჩართული იყო გერმანიის ელჩი საქართველოში, კათოლიკოს-პატრიარქი. მაშინდელმა პროკურატურამ 10-დღიანი პატიმრობა მომისაჯა. ბათუმელი სტუდენტების სახლში გაშვების ნებართვის გაცემა შეფასდა დანაშაულებრივ გულგრილობად და ამიტომ მომისაჯეს. ეს იყო დიდი სისულელე, რასაც მიხვდნენ და ამიტომ მალევე გამათავისუფლეს. ეს არ იყო მხოლოდ სამარ-

თლებრივი დავა, ეს იყო დიდი ფსიქოლოგიური ტერორი და რა ახლდა ამ პროცესს, ამაზე რთულია საუბარი. წელსად-ნახევრის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. ეს ყველაფერი, ცხადია, ჩემს შემდგომ ცხოვრებაზე აისახა და ეს არ იყო იავარდით მოფენილი გზა.

– **ამ ფონზე გავრცელებული ხმები, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან გეონდათ კავშირები, რთული სათქმელია, რადგან სანინა-ალმდგომზე მეტყველებს თქვენი საქმე.**

– სანინა-ალმდგომზე მეტყველებს და მეტიც, მე ნაციონალური მოძრაობის პროკურატურამ დამიჭირა, მეტიც, ბრძოლა გამოიმცხადა. ბოლომდე ეცადა, რომ ჩვენ არ გამოვსულიყავით სამყრობილიდან. მთელი ამ ხნის განმავლობაში, 2012 წლამდე, სისტემის ამ დამოკიდებულებას ვგრძნობდი. წარმოვიდგენიათ, ეს რას ნიშნავს?! 2012 წლის შემდეგ მე 25-მდე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა შევძელი, მაგრამ, იმის გამო, რომ პრინციპულად ვიბრძოდი, არავინ გადაწყვიტებდა.

– **ბატონო მამუკა, თქვენ იქნებით მორჩილი, პარტიული დისციპლინის დამცველი თუ საკუთარ შეხედულებას, რომელიც არ მოდის პარტიის შეხედულებასთან თანხვედრაში, ღიად დააფიქსირებთ?**

– სხვათა შორის, იმ კონსულტაციებში უნდა დაგვიდასტუროთ, რომ ამ საკითხზეც იყო საუბარი. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვანი მისიჯი მივიღე ამ საკითხზე, რომ ჩვენ არ გვჭირდება, ყველა ერთ ხმაში საუბრობდეს, როგორც ეს იყო 8-9 წლის წინ. არაბუნებრივია, რომ ყველას ერთი შეხედულება ჰქონდეს, მაგრამ აქ საუბარია, რამდენად არის ერთი შეხედულება უმთავრეს, სტრატეგიულ ხაზზე და არა ვინაა, ჩვეულებრივ შეხედულებებზე. ცხადია, პარტიას ერთი შეხედულება უნდა ჰქონდეს ქვეყნის საგარეო ვექტორზე, მის მომავალზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდი ვერ შეიკრება. მე ვთვლი, რომ გუნდურობის პრინციპი უნდა იყოს წინა პლანზე წამოწეული. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებზე სხვადასხვა აზრის ქონას, ეს ბუნებრივია. ყველა ჩვენს აზრს გაავსომოვანებთ და გუნდის შიგნით მივიღებთ გადაწყვეტილებასაც.

ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან მიდის?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ამათთან ძალიან საინტერესო ამბები მიდის. ნაცმოძრაობისგან გამიჯნული გიორგი ვაშაძე 14 მაისს, ღამის 12 საათზე ჩამოფრინდა კიევიდან და შუალაშისას გამართა ბრიფინგი. მან რამდენიმე ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა. კერძოდ, ვაშაძემ თქვა, რომ მას კიევში არ უნახავს მიხეილ სააკაშვილი, სამაგიეროდ, შეხვდა თავის ბავშვობის მეგობარ დავით საყვარელიძეს, რომელიც, თავის მხრივ, უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის კონკურენტად აღიქმებოდა.

– **რანაირად იყო საყვარელიძე სააკაშვილი კონკურენტი?**

– რანაირად და პიარის კუთხით სერიოზული კონკურენცია გაუწია ექსპრეზიდენტს. უკრაინელებს საყვარელიძე სააკაშვილზე მეტად უყვარდათ. ეს ბიჭი დაერია პროკურორებს და დაიჭირა. ეს დაჭერები დააპიარა, როგორც კორუფციასთან ბრძოლა. ამ პიარმა გაჭრა და საყვარელიძე დიდ რეფორმატორად ითვლება. სააკაშვილს მაინც წარსულთან აიგივებენ.

კიევიდან ჩამოსულმა ვაშაძემ დიდი ზარ-ზეიმით გავაცნო, საყვარელიძეს შეხვდი და ჩვენ უკვე 15 ოფისი გვაქვსო, ისიც დაამატა, ადგილი საყვარელიძის კადრია. უკვე დადასტურებით შემოიღია ვთქვა, რომ ვაშაძე იუსტიციის ყოფილი მინისტრის თამაშს თამაშობს და ამ თამაშში საყვარელიძე ჩაერთვება. ეს საკმაოდ ჭკვიანური გათვლაა.

ნაციონალურ მოძრაობაში რამდენიმე დაჯგუფება არსებობს და ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებული არიან. ნაცმოძრაობას ახლა სათავეში გიგა ბოკერია ჩაუდგა, რომელიც გაცხადებდა პარტიის რუსი კარდინალი. ბოკერიას დაჯგუფებაზე განაწყენებული ხალხი ადგილიდან წინაგზებთან – ვაშაძე-საყვარელიძესთან გადმოხარდა.

პოლიტიკურ ველზე ძალიან მაგ-



რად აირია სიტუაცია და უკვე ძნელი სათქმელია, აქ ვინ ვის თამაშს ითამაშებს. დიდი შანსია, ამ დაჯგუფებებმა ივანიშვილთან დაიწყონ გაჭრობა და ხალხის მოტყუების ხარჯზე დიდი ფული გააკეთონ.

– **ივანიშვილთან გაჭრობა ახსენეთ. ივანიშვილი პრემიერობისას ხშირად აქებდა ხოლმე ზურაბ ადგიშვილს.**

– ადგიშვილს, ისევე, როგორც მერაბიშვილს, ივანიშვილი ჭკვიან ადამიანად მოიაზრებდა. რა პროცესებიც დღეს მიდის, ყველაფერი არის გეგმაზომიერი. „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობის საპირსწონე ძალა დაიშალა და კოალიციაში შემავალი პარტიები ცალკე მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. ზემოთ გითხარით, რომ ამ პარტიებს ერთმანეთს სჭირდებათ. რადგან დაიშალა „ქართული ოცნება“, დაიწყო ნაციონალების დაშლა. ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება.

მათ შორის არსებული დაპირისპირება არის ბლუფი. პარლამენტში ნაცებისა და ქოცების ჩსუბი ხელოვნურად მოწყობილი სცენები.

„პარლამენტის სხდომების შემდეგ ნაცები და ქოცები ერთად ქეიფობენ“

გორც თავისი, ასევე „ოცნების“ საპირსწონე გუნდი. ქვეყანაში სრული მარაზია და დასალოებო 20 პარტია მუშაობს. ასეთი რამე საქართველოს უახლეს პოლიტიკაში არ მომხდარა. ამდენი პარტიის ერთობლიობა ძალიან სერიოზულ ეჭვებს აჩენს.

– **რა ეჭვებს?**

– თითქმის ახალი კოალიციები უნდა შეიქმნას. რა მოხდება, ამაზე საუბარი ძალიან მიჭირს. ივანიშვილმა კარგი საქმე გაგვიკეთა, როცა სააკაშვილი და ნაციონალები მოგვავსორა, მაგრამ ახალ ქუდის დახურვა არ გამოვიდა. მიდის და ვის იმედზე ტოვებს საქართველოს? – მემარჯვენე კვირიკაშვილისა და კალაძის.

– **თქვენი აზრით, რატომ გადანაცვითა ივანიშვილმა პოლიტიკისგან საერთოდ გამიჯვნა?**

– როგორც კვირიკაშვილი განმარტავს, ივანიშვილი ძალიან შეწუხებულია, მისი მისამართით ამხელა აგრესია რომ იგრძნობა. ამ ადამიანისაც კარგად მესმის, კაცი თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა. ახლა დღეგამოშვებით ნაციონალების სხვადასხვა ჯგუფი მიდის მის სახლთან და აქციებს აწყობს. აქედან გამომდინარე, არ მიკვირს, მოსახლეობაზე რომ განაწყენდა და წასვლა უნდა.

– **მოსახლეობაზე რატომ განაწყენდა, თანედა არ უჭერდა კოაბიტაციას მხარს?**

– საქმეც ეგ არის, რომ კოაბიტაციას დაუჭირა მხარი. ბოლომდე თუ ვერ მიიყვანდი საქმეს, შე დალოცვი-

ლო, რალს მოდიოდი, რას გვაიმედებდი. კიდევ ერთხელ ვამბობ, მესმის, რომ შეწუხდა აქციებით, მაგრამ ჩვენ არაფერს გვეკითხება? მისი ხათრით 4 წელი რესპუბლიკელები ავიტანეთ. ივანიშვილის წასვლას ერთადერთ შემთხვევაში ექნება გამართლება.

– **და რა არის ეს ერთადერთი შემთხვევა?**

– პრემიერი თუ ისევ ირაკლი ლარიკაშვილი იქნება. ქვეყანას მისი ძლიერი ხელი სჭირდება. ქართველები თამაშის ინსტიტუტზე გაზრდილი ხალხი ვართ. ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ სუფრა ერთმა ადამიანმა უნდა წარმართოს.

– **კვირიკაშვილი ვერ გაუძლევდა საქმეს მარტო?**

– დამცინით? რბილი და საყვარელი კვირიკაშვილი არაფერს ქვეყანას ვერ დაალაგებს. რომელ დალაგებაზეა საუბარი, როცა პარტია მემარჯვენეებით გაავსო. ამ პროვინციები გვინდა, რომ საქართველო წარმატებულ ქვეყნად ვაქციოთ? თანედაც რა უტიფარია, საქართველო ლესტერს შეადარა. ეს გუნდი იმიტომ გახდა ინგლისის ჩემპიონი, რომ მაგარი მწვრთნელი და მაგარი ფეხბურთელები ჰყავდა. „ქართული ოცნებაში“ კი ასეთ მაგარ ხალხს ვერ ვხედავ და მათ ლესტერთან საერთო არაფერი აქვთ.

– **მაისურის ფერი აქვთ საერთო.**

– მაისურის ფერი საქმარისი არ არის. ნება და მონდომება საჭირო. გაიძახის ეს კვირიკაშვილი, ვერ ვიტან შავ ჯიპებსო და მაინც ამ ჯიპებით დადის. ასე შორს ვერ წავალთ.

სააქურდალო-სარაბილიზაციო მასაჟი

ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმატიკული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისბალანსი, ხერხემალი, დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულისის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ძალაბაზონი ფიქრია



მირიან მირიანაშვილი: „უნდა შეიქმნას ხალხის ნაპარსვი ქონების ამოღების მექანიზმი“



მარიამ მჭედლიშვილი

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იზრდება არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რიცხვი. გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები. საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც გაურკვევლობაშია და ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია, მივა თუ არა არჩევნებზე. ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი და ყოფილი თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ახლანდელი პოლიტიკური სისტემა უმძიმეს რეალობას ვერ შეცვლის და ქვეყანას ჩიხიდან ვერ გამოიყვანს. ამას საზოგადოების უმრავლესობაც ხვდება, ამიტომ ვერ ჩამოყალიბებულა.

— უმძიმეს რეალობაში გადაუნეველელ კონფლიქტებსა და ეკონომიკურ-სოციალურ პრობლემებს გულისხმობთ?

— ყველაფერს. ვგულისხმობ მდგომარეობას დემოგრაფიული ვითარებით, მიგრაციით და უმუშევრობით დაწყებული, გაძარცვული მოქალაქეებით დამთავრებული.



— გაძარცვაში ბიზნისა და ქონების ჩამორთმევა იგულისხმება?

— სააკაშვილის რეჟიმი რომ საკუთარ მოქალაქეებს ქონებას ართმევდა, საყოველთაოდაა ცნობილი. კერძო მეფახსოვობის სქემაზე, რომელსაც პირადად სააკაშვილი აკონტროლებდა, ადრეც მისაუბრია. საქართველოს მოსახლეობას კოლოსალური ვალები დაუგროვდა ბანკებისა და ფიზიკური პირების მიმართ. ეს ვალი 716 მილიარდ ლარს აღწევს. საბოლოოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა განწირულია სიღატაკისათვის, მოსახლეობა კი — მონობისათვის. დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია. წინა რეჟიმი

ხალხს ამ თემაზე ინფორმაციას უმაღლავდა. ხალხს ეუბნებოდნენ, მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, იმ დროს, როცა დიდი მიგრაცია იყო და შობადობაც არ მატულობდა. ყალბი მონაცემებით ტარდებოდა არჩევნები. ასე ჩატარდა 6 არჩევნები. დემოგრაფიის თემაზე იმდენი აქვს მიქარული სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, რომ არაერთი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეიძლება.

— ახლა ხომ გამოკვეყნდა ახალი აღწერის შედეგები?

— დიას, ბიძინა ივანიშვილს ეყო ნებისყოფა და გამოაქვეყნა 2014 წლის აღწერის შედეგები. პრობლემა ისაა, რომ არ ხდება ამ შედეგების განხილვა და ანალიზი. არავის ადარდებს, რომ მასშტაბური მიგრაცია მოხდა და ეს პროცესი გრძელდება, ქვეყანაში კი დემოპოზუციაა. გამრავლება არ ხდება. დემოგრაფიისა და აღწერის თემა ტაბუდადებულია.

— რატომ გგონიათ, რომ ტაბუდადებულია, იქნებ ამისათვის ვერ მოიცალეს?

— ამაზე გაუთავებელი მსჯელობა და გამოსავლის ძიება უნდა იყოს, მაგრამ დემოგრაფიაზე ხმას არავინ იღებს. ეტყობა, კომენტატორები ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ ნებადართულ თემებზე, მაგალითად, ლარის კურსზე და სხვა. არავინ საუბრობს იმაზე, როგორ უნდა მოხდეს ნაძარცვი ქონების ამოღება-დაბრუნება, ასევე — გაკოტრებული ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა.

— სამართლიანობის აღდგენას პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილი მაინც მოითხოვს.

— ეს მხოლოდ განცხადებებია. ბევრი ფაქტორის, მათ შორის, კორუფციული სქემების გამო ქვეყანას ვალები ემატება. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთი მოხელე კორუფციული გარიგებებით მდიდრდება. ამის შედეგად სახელმწიფოს ედება ვალი. თუ არ მოიძებნა გამოსავალი, საქართველო სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლება. ხალხის ძარცვა შევარდნაძის დროს დაიწყო და სააკაშვილის მმართველობის წლებში ახალ რანგში ავიდა. ძარცვას წინააღმდეგობა რომ არ შეხედროდა, წინა რეჟიმის დროს სახელმწიფო სისტემის ნაწილი გახდა სადიზმი. სადიზმი სააკაშვილის დროს პოლიტიკური შეკვეთა იყო.

— გამოსავალი არსებობს?

— ჩვენ ვმუშაობთ მეთოდოლოგიაზე, რომელიც ქვეყანა ჩიხიდან და გაკოტრებული მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეს. საჭიროა წვდომა ფულზე, რომელიც ხალხს შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს წაართვეს. ერთ-ერთი მეთოდი იმ ანგარიშების დადგენა, რომლებზეც სააკაშვილის ხელისუფლება გაძარცვულ ადამიანებს ფულს არიცხვინებდა. მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ანგარიში ბევრ შემთხვევაში ერთი და იგივე იყო. ესაა მნიშვნელოვანი დეტალი ამ საქმეების გამოსაძიებლად და სამართლიანობის აღსადგენად. მეთოდოლოგია უფრო დეტალურად ვამუშავებთ. ამისათვის პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებაც მოგვინებს. დღევანდელი პოლიტიკური სექტორი, რა ლოზუნგებითაც არ უნდა გამოდიოდეს, სიტუაციის შემცვლელი არ არის. ვითარების შეცვლას ვინ ჩივის, ხალხს უმტკივნეულებს პრობლემებზე ინფორმაციასაც კი არ აწვდიან!

ჯონდი ბალათურია: „პაატა ბურჭულაძე ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა ყოფილიყო“



გულიკო ბალაძე

მიმდინარე მოვლენებზე „ახალ თაობას“ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია ესაუბრება.

— ბატონო ჯონდი, წლების წინ თქვენ გინდოდათ, პაატა ბურჭულაძე პრეზიდენტობის კანდიდატად დაგესახელებინათ, მაგრამ უარი გითხრათ.

— უარი არ უთქვამს, ყველაფერზე შეთანხმებული ვიყავით, მაგრამ შევჩერდით. თუმცა, ახლა პაატაზე საუბარს არ ვაპირებ არც დადებით და არც უარყოფით კონტექსტში.

— რატომ შეჩერდით?

— მაშინ ისეთი ვითარება იყო, შევჩერდით, ახლა ამაზე საუბარი არ მსურს.

— მაშინ თქვენი პოზიციები თუ ემთხვეოდა ერთმანეთს?

— მაშინ პაატა ბურჭულაძის აზრები ემთხვეოდა ჩვენსას. ახლა ხედავთ, რასაც ამბობს.

— ახლა პაატა ბურჭულაძის განცხადებები ერთი ერთში ემთხვევა ნაც-მოძრაობის განცხადებებს.

— ახლა მან შეიცვალა პოზიციები. მაშინ ისეთი ვითარება შეიქმნა, შევჩერდით. ამაზე საუბარი არ მსურს.

— დღეს როგორი პოლიტიკური ვითარებაა? სწორად შემოვიდა ბურჭულაძე პოლიტიკურ სივრცეში?

— მე გითხარით, მოცემულობა შეიქმნა ისეთი, ამ თემის გაგრძელება აღარ ღირდა. რატომ და როგორ, ამაზე ჩემი მოსაზრებები მაქვს.

— პოლიტიკური პარტიებისთვის თავისუფალი სივრცე არის თუ არა?

— მე ყოველთვის თავისუფლად ვგრძნობდი თავს. თუ იმას გულისხმობთ, რამდენად არის ხელშემწყობი გარემო, ასე ნამდვილად არ აქვს ხელი-სუფლებას კონკურენტული გარემო შექმნილი, როგორც ყველა წინა ხელისუფლებას. როგორც შევარდნაძეს, როგორც სააკაშვილს, ისე ახლანდელ ხელისუფლებას მთლიანად მონოპოლიზებული აქვს ყველა რესურსი — მედიარესურსი, ფინანსური რესურსი, ადმინისტრაციული რესურსი. ამიტომ, რა თქმა უნდა, არ არის კონკურენტული გარემო. ჩვენ შეგვეული ვართ ასეთ გარემოში მოქმედებას.

— თვითონ შედიასივრცე ხომ არ არის იმგვარად მონოპოლიზებული, რომ სახელისუფლებო სუბიექტებზე უფრო



მეტად კეთდება აქცენტი?

— არა, ვერ დაგეთანხმებით. ხელისუფლებები ხელში იგდებენ ძალაუფლებას და შემდეგ ახდენენ მედიარესურსებისა და ფინანსური რესურსების მონოპოლიზებას. ასე იყო სააკაშვილისა და შევარდნაძის დროსაც. სააკაშვილმა მედიარესურსის მონოპოლიზება დაიწყო, ეგონა, ჩირგვში იჯდა და გარანტირებული ჰქონდა ძალაუფლება. ასე ჰგონია ახლანდელ ხელისუფლებასაც. სწორედ ამისთვის ხდება მედიარესურსების მონოპოლიზება.

— თავისუფალი მედია არ არსებობს?

— არსებობს. თქვენ ხართ, მაგალითად, თავისუფალი მედია, მაგრამ ბეჭდური მედია ისეთ გავლენას ვერ ახდენს პროცესებზე, როგორსაც — ელექტრონული მედია.



ჯონდი ბალათურია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ ყრილობაზე შეაფასა.

— გუშინ „ქართული ოცნების“ ყრილობა ხომ ნახეთ, მოქალაქეთა კავშირის ყრილობა გამახსენდა, ერთი პარტია რომ არსებობდა და ბანკირი, მომღერალი, პოეტი, კლოუნი, ქვის მსროლელი — ყველა იმ პარტიაში უნდა ყოფილიყო, — განაცხადა მან.

— ასეთი შთაბეჭდილება რატომ შეგექმნათ?

— დარბაზში ისხდნენ ყველა ბანკირი, ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მფლობელი, ყველა მეცხე, ყველა მსხვილი ბიზნესმენი, კარის მომ-

ღერლეები, პოეტები, მსახიობები. ყველა კარის ტაკიმასხარა პარტიის ყრილობაზე იყო მისული. ნორმალურ გარემოში რა ესაქმება ბანკირს პარტიის ყრილობაზე. სად ბანკირი, მოცეკვავე, მომღერალი და სად პარტიის ყრილობა?

— ეს თვითონ ამ ბანკირების, ბიზნესმენებისა და პოეტების პრობლემა ხომ არ არის, რადგან იქ მხარდასაჭერად მივიდნენ?

— როგორ გგონიათ, ისინი არავის მიუხედავად და თავიანთი სურვილით მივიდნენ?

— ალბათ, მიიწვიეს.

— მიწვევაც იქნებოდა და დაძალებაც. იქ იყვნენ ისინი, ვინც ბოლო 25 წლის განმავლობაში ხალხსა და სახელმწიფოს ატყავებს.

— გამტყაველებში ვის გულისხმობთ?

— ყველა, ვინც ხალხს ატყავებდა, იმ დარბაზში იჯდა.

— რას ამბობთ?

— ასე იყო, ხალხის ყველა გამტყაველები იმ დარბაზში იჯდა.

— ძალიან ცუდი, თუ ასე იყო.

— ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი, ბანკირები და თუ ვინმე რამე გააკეთა, ყველა ოცნების პარტიის ყრილობაზე დარბაზში იჯდა.

— ყველა გამტყაველები როგორ იყო?

— ნორმალური ხალხიც იჯდა დარბაზში, მაგრამ, ვინც ხალხს ძარცვავდა, უკლებლივ იმ დარბაზში იმყოფებოდა იმისათვის, რომ მიეღოთ

„ქართული ოცნების“ ყრილობა ხომ ნახეთ, მოქალაქეთა კავშირის ყრილობა გამახსენდა, ერთი პარტია რომ არსებობდა და ბანკირი, მომღერალი, პოეტი, კლოუნი, ქვის მსროლელი — ყველა იმ პარტიაში უნდა ყოფილიყო.

უფლება და ლიცენზია ქურდობაში. კვლავ რომ ძარცვონ ქვეყანა, იმიტომ ისხდნენ იმ დარბაზში. მთავარია, პარტიის ყრილობას დაესწრონ და ნაქურდალი მიიტანონ იქ, სადაც საჭიროა.

— ნაქურდალი სად მიაქვთ?

— თქვენც იცით, სადაც მიაქვთ.

— ნამდვილად არ ვიცო, სად მიაქვთ ნაქურდალი.

— აბსტრაქტული ცნებაა, უფროსობასთან, ზევით.

— როგორ? დავიჯერო, დღესაც ის სისტემა მოქმედებს, რომელიც სააკაშვილისა და შევარდნაძის დროს, რომ ვილაცის ზეგით ფული მიაქვს?

— რა ვიცი. თუ დღესაც იგივე პრინციპი არ მოქმედებს, მაშინ ამ ხალხს პასუხი უნდა ეგო, ნაქურდალი უნდა ჩამოერთმიათ და მიეცათ პატივისცემის ზოგ შემთხვევაში პატიონი არის ხალხი, ზოგ შემთხვევაში — სახელმწი-

ფო. ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. ამიტომ გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ისევ გრძელდება სახელმწიფოს ძარცვა, როგორც ადრე ხდებოდა.

— გაიხსენეთ, როდესაც შევარდნაძე ლირსების ორდენით აჯილდოვებდა ასეთ პირს, შემდეგ ან ათავისუფლებდა თანამდებობიდან, ან იჭერდა. ამჯერადაც ასე ხომ არ არის და, თუ იქ მინეველი იყო ისეთი, ვისზეც თქვენ გონივრული ეჭვი გაქვთ, პასუხისმგებლობისაგან ვერ გადარჩება.

— არ ვიცი, ვინ რას აპირებს. მე ვხედავ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს — ხალხს აწამებდნენ, ადამიანებს ძარცვავდნენ — ყველანი გადაბარგდნენ ახალ პარტიაში, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია. ისინი ადრე იყვნენ ნაციონალურ მოძრაობაში, ცოტა უფრო ადრე — მოქალაქეთა კავშირში.

— მეგონა, ასეთ პირებს მხარდაჭერებში მოიაზრებდით, თქვენ თქვით, პარტია „ქართული ოცნებაში“ არიან. ოცნებაში ვინ არიან ასეთები?

— „ქართული ოცნების“ ნახევარზე მეტი ნაცმოძრაობისაგან შედგება. ნაცმოძრაობის ნახევარზე მეტი მოქალაქეთა კავშირისაგან შედგებოდა. ცოტა თვალის გახელა უნდა ისწავლოს საზოგადოებამ. დღეს იმდენი პორტირებული ნაციონალია „ქართულ ოცნებაში“, რომ ვინ უფრო მაგარი ნაციონალია, „ქართული ოცნება“ თუ ნაციონალური მოძრაობა, ვერ გაიგებ.

— ამის მიზეზი რა არის?

— მიზეზი არის ის, რაც გითხარით. შეგიძლიათ, ხატოვნადაც გაიგოთ და პირდაპირი გაგებითაც — მთავარია, პარტიის ყრილობას დაესწრო და მმართველ ძალას ემსახურო, დანარჩენი — ხალხი შეგიძლია ძარცვო, როგორც გინდა. ადამიანები შეეჩვივნენ ცხოვრებას სხვის კისერზე, ხალხისა და სახელმწიფოს კისერზე. ის ხალხი ყოველთვის ეძებს თავისთვის კომფორტულ გარემოს, მთავარია, ქურდობის ნებართვა ჰქონდეს. ისინი ყველა ხელისუფლებასთან პოულობენ საერთო ენას. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს პრინციპები, ასეთი ხალხი კი არ იხსავს თავის მატარებელში, არამედ პასუხი აგებინოს.

— ხელისუფლებები რატომ ვერ ხედავენ იმას, რასაც თქვენ ამბობთ?

— იმიტომ, რომ ის ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს არა ხალხის სიყვარულითა და კეთილდღეობის გაძლიერებით, არამედ უკანონო სასამართლოთი.



საქართველო „ჰორიზონტი 2020“-ის ასოცირებული ქვეყანა გახდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და კვლევისა და ინოვაციის საკითხებში ევროკომისარმა კარლოს მოედამა ბრიუსელში ხელი მოაწერეს „ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ საქართველოს ასოცირების შეთანხმებას“, რითაც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე ახალი, ისტორიული მნიშვნელობის ეტაპი დაიწყო.

ჰორიზონტი 2020 ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაა დაახლოებით 80 მილიარდი ევროს ბიუჯეტით, რომელი თანხაც 7 წლის განმავლობაში (2014-2020) სხვადასხვა სფეროებისთვისაა განკუთვნილი. გრანტების სახით ის მოხმარდება სამეცნიერო, კვლევით აღმოჩენებს, გამოგონებებსა და ინოვაციებს. პროგრამის მისიაა, ხელი შეუწყოს მონივრულ მეცნიერების განვითარებასა და კვლევისა და ინოვაციების გზით გადაჭრას საზოგადოებრივი და ინდუსტრიული გამოწვევები.

ჰორიზონტი 2020-ის პროგრამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, ხელი შეუწყოს მასში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას. ევროპელი პოლიტიკური ლიდერები თანხმდებიან, რომ კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერა – ეს არის ინვესტიცია საერთო ევროპული მომავლისათვის, ამიტომ ჰორიზონტი 2020-ს მაღალი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს.

მნიშვნელოვანია, რომ ჰორიზონტი 2020 პროგრამაში განვლიანებით საქართველო კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას ევროპული იდეალებისადმი, რომ მეცნიერება, ინოვაცია და ტექნოლოგიური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის ფუნდამენტია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სრულ თანხედრამა საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, რომელიც მოწოდებულია, ააშენოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და განვითარდეს ადამიანური კაპიტალი, ქვეყნის მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალა.



ჰორიზონტი 2020-ში საქართველოს ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ქართველ მეცნიერებს, მკვლევრებსა და ინოვატორებს, ასევე, საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს (უნივერსიტეტები, კვლევითი დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მცირე და საშუალო საწარმოები, ბიზნესკომპანიები, ფონდები, სამთავრობო დაწესებულებები და ა.შ.) შეეძლება, იმავე პირობებით, სტატუსითა და უფლებებით ისარგებლონ, რითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. საქართველოს მონაწილეებს უფლება ექნებათ, უზედმდღევანელონ და კოორდინირება გაუწიონ ჰორიზონტი 2020-ის ფარგლებში დაფინანსებულ ერთობლივ პროექტებს. მეტიც, ჰორიზონტი 2020-ის კონკურსებში წარმატების შემთხვევაში, საქართველოს მკვლევრებსა და ინოვატორებს შეეძლება, მოიზიდონ ასიათასობით ევრო, განახორციელონ კვლევები საქართველოში, ხორციელდეს სამეცნიერო და ინოვაციური იდეები და გააძლიერონ კვლევითი ცენტრები.

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის

ჩარჩო პროგრამა ჰორიზონტი 2020-ის 2016-2017 წლების სამუშაო პროგრამა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე მკვლევრებსა და ინოვატორებს შორის თანამშრომლობის მრავალ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

2016-2017 წლების სამუშაო პროგრამის თემების დაახლოებით ერთი მესამედი კონკრეტულად მხარს უჭერს საერთაშორისო თანამშრომლობას და აქცენტს აკეთებს ისეთ გლობალურ ინიციატივებზე, როგორებიცაა ევროპისა და განვითარებად ქვეყნებს შორის კლინიკურ კვლევებში პარტნიორობა, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს შორის პარტნიორობა კვლევისა და ინოვაციის საკითხებში, გარემოს დაცვის საკითხებზე კვლევითი პარტნიორობა ბელმონტის ფორუმის ფარგლებში.

საზოგადოებრივი და ინოვაციური პოლიტიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტი წევრ სახელმწიფოებსა და ჰორიზონტი 2020-ის ასოცირებულ ქვეყნებს აძლევს მაღალი დონის დამოუკიდებელ შეფასებასა და ანალიზის მიღებაზე წვდომას ისეთი სერვისების მეშვეობით, როგორ-

იცა სახელმწიფო კვლევისა და ინოვაციის სისტემების კოლეგიალური შეფასებები (peer-review), კონკრეტული რეფორმების მხარდაჭერა და ა.შ. აღნიშნული ინსტრუმენტით სარგებლობა, ნებაყოფლობითია, დაინტერესებული ქვეყნის ეროვნული ხელისუფლების მოთხოვნის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული პრიორიტეტების კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი თანამშრომლობის თემების წამოწევა: კერძოდ, საქართველოს კვლევებისა და ინოვაციის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობა და ინტერესებული პარტნიორები 2020-ის პოლიტიკის მხარდაჭერის მექანიზმის (Horizon2020 Policy Support Facility) გამოყენებით. ეს არის ევროკომისიის ახალი ინსტრუმენტი, რომელიც 2015 წლის მარტში ამოქმედდა და მიზანს წარმოადგენს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ჰორიზონტი 2020-ში ასოცირებულ ქვეყნებს გაუზიაროს პრაქტიკული დახმარება, რათა მათ დაეგეგმონ, განახორციელონ და შეაფასონ ის რეფორმები, რომლებიც გაზრდის ამ ქვეყნებში კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით ინვესტიციებს, გააუმჯობესებს ამავე სფეროს პოლიტიკასა და სისტემას. აღნიშნული ინსტრუმენტით უკვე ისარგებლეს ბულგარეთმა და უნგრეთმა, უკრაინა და მოლდოვა კი გეგმავენ 2016 წელს ამ ინსტრუმენტის გამოყენებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს, მნიშვნელოვნად განახლოს საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემა მისი საერთაშორისო განვითარების გაძლიერებით. შესაბამისად, საქართველო საჭიროდ თვლის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფართომასშტაბიან კონკურსებში წარმოდგენილი პროექტების შესაფასებლად საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას.

ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ევროკავშირის დახმარება.

ნინო ჩხეკელი

სოქსისა და ნეფლი რძის გადაამუშავებულ სანარმოებზე ახალი რეგულაციები აწესდება

სოქსისა და ნეფლი რძის გადაამუშავებულ სანარმოებს სულ მალე ახალი ვალდებულება დაეკისრებათ, კერძოდ, მათ ახალი, „მასპის“ სტანდარტებით მოუწევთ მუშაობა, რომელიც მომხმარებლის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობის დაცვაზე ორიენტირებულია.

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს, სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ანა გემაზაშვილმა პორტალ „კვირაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისივე თქმით, ახალი სტანდარტი საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემაა, რომელიც სურსათის წარმოების პროცესში პოტენციური საფრთხეების დადგენას, მათ პრევენციასა და აღმოფხვრას გულისხმობს.

გემაზაშვილის განმარტებით, სტანდარტი შეიქმნა ძირითად პრინციპზე დაფუძნებული. ესენია: საფრთხის ანალიზის ჩატარება, კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა, კრიტიკული ზღვრების დანერგვა, მონიტორინგის პროცედურის გატარება, მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება, გადამოწმება და შემდეგ არსებული ჩანაწერების მართვა.

ახალი სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით, სააგენტო ბიზნესოპერატორებს



კონსულტაციებსაც გაუწევს, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორები აღნიშნულ სტანდარტს არ დანერგავენ, მათთვის გარკვეული სანქციებით გათვალისწინებული იქნება მათ შორის ფულადი ჯარიმებიც, რომლებიც 400 ლარიდან დაიწყება.

– ეს სისტემა ევროპის ყველა ქვეყანაში მოთხოვნილია და ჩვენც, ქვეყანა, რომელიც ვისწრაფვით ევროპისკენ, ვცდილობთ, რომ ჩვენი საკონომდებლო ბაზა, პრაქტიკა და რეალობა ევროკავშირის მოთხოვნებს მივუხ-

ლოთ. სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედი სანარმოები, რომლებიც გადაამუშავებულ სანარმოებს წარმოადგენენ, კერძოდ ცხოდ-ველთა სასაქონლოები და ნელ-რძეზე მომზადებული სანარმოები, ვალდებულები არიან, რომ კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინონ საფრთხის ანალიზი. პირველ რიგში, ეს იმას ითვალისწინებს, რომ თავად მენარმის მიერ დანერგოს თვითკონტროლის სისტემა და საფრთხის იდენტიფიცირება მოხდეს, თუ რა საფრთხე შეიძლება შეიქმნას სურსათის წარმოების პროცესში.

ამ საფრთხეების იდენტიფიცირების შემდეგ კი მენარმე უნდა განსაზღვროს მისი კრიტიკული წერტილები და დანერგოს ამ საკონტროლო წერტილებზე ზღვრები, როგორც მინიმალური ასევე მაქსიმალური ზღვრები. ამასთან, მუდმივი მეთვალყურეობა და მონიტორინგი დაანერგოს, რომ ამ კრიტიკულ წერტილებში გარკვეული გადაცდენა არ მოხდეს იმ ზღვრებიდან, რომელიც საბოლოოდ აისახება სურსათის უვნებლობაზე. მენარმე ასევე აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებით სრული ჩანაწერები უნდა აწარმოოს ანუ ის, რასაც ის განახორციელებს პრაქტიკაში, უნდა იყოს გამაგრებული ჩანაწერებით, – განაცხადა გემაზაშვილმა.

ნინო ჩხეკელი

ანი შიროზაძე: „თანამდებობიდან გადადგომა რაფაელია მინისტრს მოუწევს“

– რამდენიმე მინისტრს მოუწევს თანამდებობიდან გადადგომა, – ეს განცხადება „ეროვნული ფორუმი“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანი შიროზაძემ გააკეთა.

შიროზაძე საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის იმ განცხადებას გამოემხურა, სადაც პრემიერმა შესაძლო საკადრო გადაადგილებებზე ისაუბრა. შიროზაძე ამბობს, რომ რამდენიმე მინისტრი, „რესპუბლიკელი“ მინისტრების გარდა, დატოვებს თანამდებობას, რათა ისინი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთონ და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

– რესპუბლიკელები პარტიას გაცხადებულობა აქვს, რომ ისინი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციასთან ერთად არ მიიღებენ მონაწილეობას. ყველა მისი პოლიტიკური ლიდერი, მათ შორის მინისტრები, ალბათ, მიიღებს გარკვეულ გადაწყვეტილებას. ეს იქნება მათი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, ვივქვებ ის სამი არ იქნება მხოლოდ, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს ნებაყოფლობით. გონია, რომ რამდენიმე მინისტრი იქნება, ვისაც მოუწევს თანამდებობიდან გადადგომა სწორედ იმ ნიშნით, რომ მან აქტიურად მიიღოს მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, – განაცხადა შიროზაძემ.

პირველი რადიო



უჩა ნანუაშვილი: „საზოგადოებრივი თავშეყრის დახურულ ადგილებში თამბაქოს მოწევა სრულად უნდა აიკრძალოს“



– მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის გატარებისას პრიორიტეტად აღიაროს მოქალაქეთა ჯანმრთელობა და ადამიანის სიცოცხლის დაცვა, უზრუნველყოს ყველა პირის უფლება თამბაქოს კვამლისგან თავისუფალ ჰაერზე და პასიური წვეთის მანვე ეფექტებისგან დაცულობაზე, განამტკიცოს თამბაქოს მოხმარების გავრცელების ყოველწლიური შემცირების აუცილებლობა საზოგადოების ყველა სექტორში, – აღნიშნულია სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში, რომელიც თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებულ პრობლემებს ეხება.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2006 წლის 15 მაისს საქართველოსთვის ძალაში შევიდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია, რომელიც აღიარებს, რომ თამბაქოს ეპიდემია წარმოადგენს გლობალური მნიშვნელობის პრობლემას.

– თამბაქოს კონტროლის შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის კუთხით სრულ-

ფასოვანი ღონისძიებების გატარების ვალდებულება აიღო. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ ვალდებულებებიდან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი შესრულდა, – ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ მოქმედი კანონმდებლობა დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს თამბაქოს რეკლამირების, სოწნორობისა და პოპულარიზაციის აკრძალვის მიმართულებით აღებული ვალდებულებებთან.

– საზოგადოებრივი თავშეყრის ყველა დახურულ ადგილასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში სრულად უნდა აიკრძალოს თამბაქოს მოწევა, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი თამბაქოსგან თავისუფალი გარემოს შექმნა. თვალისაყრდენი შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გამოვლენილი უმოქმედო თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობასთან დაკავშირებული დადგენილი შეზღუდვების ყოველდღიური უზრუნველყოფის ფაქტების მიმართაც, 2015 წლის განმავლობაში, თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს განსჯადობისთვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე არსებული კანონიერ ძალაში შესული მხოლოდ ერთი დადგენილება, რომლითაც პირს არასრულწლოვნისთვის თამბაქოს ნაწარმის მიყიდვის გამო ადმინისტრაციული სახდელი დაედო, – აღნიშნავს სახალხო დამცველი.

ნანუაშვილის თქმით, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თამბაქოს ნაწარმზე ხელმისაწვდომობის შემცირების მიზნით 2014 წლიდან 4-ჯერ მოხდა გადასახადების მატება, თუმცა, სახალხო დამცველის განცხადებით ეს ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მხრიდან თამბაქოს კონტროლის შესახებ ჩარჩო კონვენციით აღიარებული ვალდებულებების ეფექტურ შესრულებად.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას, თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის არსებული ხარვეზების აღმოფხვრასთან ერთად, ეფექტურად განახორციელოს ზედამხედველობა თამბაქოს კონტროლის სფეროში არსებული რეგულაციების შესრულებაზე.

ნინო ჩხეკელი



როგორ უნდა მოვხდეთ პრესიზმის



ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ შეკითხვებს სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე **სანდრო ბრეგვაძე** პასუხობს.

– **ბატონო სანდრო, თქვენ ცესკოს მიმართული მოთხოვნით, რომ არჩევნებთან ერთად რეფერენდუმზე ჩატარდეს და საზოგადოება დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ერთსეკუნიათა ქორწინების წინააღმდეგ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე, რა პასუხი მიიღეთ ცესკოდან?**

– მე ადრეც განაცხადე, რომ ცესკოზე ხდებოდა საოცარი ზეწოლა, იმის გამო, რომ მათ უარყოფითი გადაწყვეტილება მიეღოთ. ჩვენდა სამინუხაროდ, ჰომოსექსუალებმა და მათთან დაკავშირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კვლავ იბრძოლეს ქართველ ერზე. საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ჩვენ ცესკოს მიმართული იმ ინიციატივით.

– **ზეწოლაზე საუბრობთ და ვი-სი მხრიდან ჰქონდა ადგილი ზეწოლას ცესკოზე?**

– გადამწყვეტილების მიღებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე ჩემთვის სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ქართველთაშორის ძალაუფლება და მათთან დაკავშირებული უცხოური ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტოტალური ზეწოლა ცესკოზე. იმ სხდომაზე, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო აღნიშნული სარეფერენდუმო ინიციატივის ბედი, ეს ინიციატივა დაიბლოკა ანუ ჰომოსექ-

სუალურ წყვილებს დარჩებათ კვლავ შანსი, რომ უახლოეს მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანონ სარჩელი, რომლითაც გაუქმდება ორგანულ კანონში აღნიშნული ოჯახის განსაზღვრება და საქართველოში დაკანონდება ე.წ. ერთი და იმავე სქესიანთა ქორწინება. ეს არის უმნიშვნელოვანესი პროცესი და თუ ამ პროცესში დამარცხდებიან ეროვნული ძალები, მაშინ ჩვენი შვილების მომავალს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

– **ცესკომ უარი გითხრათ და ახლა რას აპირებთ?**

– ცესკომ ზეწოლის შედეგად გვითხრა უარი. ლგბტ ძალებს, ამ კაცთაშორის უფლებებს, ემუხრათ რეფერენდუმის, რადგან მათ კარგად იცნან, რომ საქართველოს მოსახლეობის 99% მხარს დაუჭირეს ერთსეკუნიათა ქორწინების აკრძალვას. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მთელი რესურსი მომართეს ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენი საინიციატივო ჯგუფი აპირებს ბოლომდე ბრძოლას. ჩვენ შევიტანეთ გასწორებული ვარიანტი სარეფერენდუმო კითხვისა, რომლის მიხედვითაც ცესკოს, ფაქტობრივად, ზგას არ ვუტოვებთ, გარდა იმისა, რომ მათ მოგვცენ კანონიერი უფლება, ჩატარდეს რეფერენდუმი. თუ ამის შემდეგაც არ მოგვცემს ცესკო ამის უფლებას, მაშინ ჩვენ დავენიშნებთ მძლავრ საპროტესტო აქციებს და მივმართავთ რადიკალურ ზომებს. ეს იქნება ჩვენი სტრატეგია და ტაქტიკა!

– **თქვენ ასევე სკანდალურ გან-**

ცხადებებს აკეთებთ კომპოზიტორთა სახლთან დაკავშირებით. რა ხდება აღმაშენებლის გამზირზე? დაინტერესდნენ ამით ძალოვანი უწყებები?

– არავინ დაინტერესებულა. ან კი ჩემი განცხადება რაში სჭირდებაოდ, როცა ამ დაწესებულებიდან 50 მეტრში მდებარეობს ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილება. ერთადერთი, რაც გააკეთეს ჩემი განცხადების შემდგომ, არის ის, რომ ის ალვირახსნილობა, რაც ამ დაწესებულებებში მიმდინარეობდა, დროებით შეწყდა. გადამაღეს ის არასრულწლოვანი ბავშვები, რომლებსაც იქ იძულები წესით ამუშავებდნენ. ახლა ცდილობენ წარმოაჩინონ, თითქმის კომპოზიტორთა სახლში არაფერია ხდებოდა.

– **ასეთი რა ხდებოდა იქ?**

– გეტყვით, რაც ხდებოდა, თუმცა მანამდე მინდა ვისაუბრო იმ უცხოელებზე, რომლებიც ასე თავისუფლად შემოდიან საქართველოში და აქ ბინადრობის უფლებით სარგებლობენ. პირველ რიგში, ეს ჩვენს დემოგრაფიულ მდგომარეობას ცვლის. ისედაც მცირერიცხოვანი ერი ვართ და ძალიან მალე ცუდ დღეში ჩავცვივდებით. ამავე დროს, თბილისის ცენტრალური უბანი, აღმაშენებლის გამზირი, ოკუპირებული აქვთ ერაყელებს, სირიელებს, არაბებს, ათასი ჯურის ხალხს, რომლებიც საქართველოში ეწევიან უკანონო ბიზნესს.

– **რა არის ეს ბიზნესი?**



– ეს ბიზნესი არის: ნარკოტიკებით ვაჭრობა, პროსტიტუცია და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. ამავე დროს, მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, არიან რელიგიური ფანატიკოსები, რომლებიც ე.წ. ევროპეკას უკეთებენ ადამიანებს იმ ოფისებში, რომლებიც განლაგებულია აღმაშენებლის გამზირზე. ტრეფიკინგი მიმდინარეობს და ბავშვების ყიდვა-გაყიდვა! მეტი რაღა უნდა ხდებოდეს?! ამ ხმაელად განცხადებების შემდეგ ამ საქმიანობას ცოტა ხნით შეაჩერებენ, რადგან ბევრი ადამიანი დაინტერესდა ამ სიტუაციით და, როდესაც ინტერესი მინელდება, კვლავ ააღორძინებენ ამ ბიზნესს. ჩვენ ისიც განვაცხადეთ, რომ მოვანაცოვდით ქართველ-

თა მარშს და ყოველივეს თავად ავლავდით. ამან ცოტა დააფრთხო ეს ადამიანები, თუმცა, მერწმუნეთ, ეს დროებითია.

– **კომპოზიტორთა სახლს რაც შეეხება?**

– კომპოზიტორთა სახლის ხელმძღვანელობას ნამდვილად ვერ უშველის ის, რომ პირველ სართულზე განლაგებულ საეჭვო დაწესებულებაში დროებით შეაჩერეს ალვირახსნილი საქმიანობა.

– **სხვაგანაც არის მსგავსი სიტუაცია?**

– გაიარეთ რესპუბლიკის მოედნის ქვევით და კარგად ნახავთ, რომ ოფიციალური საროსკიპოვებია გახსნილი, სადაც ქართველ ქალებსა და არასრულწლოვან გოგონებს აიძულებენ, სხეული ივაჭრონ. ამის გამკითხავი კაციშვილი არ არის! თბილისის ცენტრში მიმდინარეობს ქართველი ახალგაზრდებით ვაჭრობა და ტრეფიკინგი. ეს საშინელებაა და ამაზე პასუხს არავინ აგებს.

– **თუკი ასეა, რატომ არ ინტერესდება ამით შესაბამისი უწყება? ფინანსურ ინტერესს ხედავთ?**

– მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების დონეზე არანაირი კორუფცია არ ხდება ღამის კლუბებიდან და ამ საშინელი დაწესებულებიდან, თუმცა ქვედა რგოლები, რა თქმა უნდა, დანაშაულებრივ კავშირში არიან მათთან.

„ქართული ოცნების“ პოლიტსაზოგადოება



საპროტესტო აქციების დაწყების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარტიის პოლიტიკური საბჭოს განახლებული შემადგენლობა წარადგინა, რის შემდეგაც პარტიის წევრებმა მანდატების აწვით ერთხმად დაამტკიცეს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

მისი წევრები არიან: პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე, გიორგი ვოლსკი, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, ირაკლი სესიაშვილი, ირაკლი ტრიპოლსკი, თემურ ჭკუხელი, დავით საგანელიძე, ნოდარ ხადური, ზვიად კვა-

მედიანოსი

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ხსაკოს 13-მა პოლიტიკურმა პარტიამ უკვე მოიპოვა უკვე მიმართა

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 13-მა პოლიტიკურმა პარტიამ უკვე ოფიციალურად გამოხატა. როგორც „პირველ რადიკალ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან აცნობეს, მათ, რეგისტრაციის მიზნით, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შეიტანეს ცესკოში განაცხადები.



მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების, წარმოდგენისა და შესაბამისი დოკუმენტების შემოწმების ეტაპებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას პროპორციული სისტემით მოიპოვეს პირველი სამი ადგილი (ბლოკის შემთხვევაში, ჩამონათვალში რიგით პირველ პარტიას), უფლება აქვთ, დაიტოვონ წინა საპარლამენტო არჩევნებისთვის მიკუთვნებული რიგითი ნომერი ან აირჩიონ არჩევნებში დაკავებული ადგილის შესაბამისი რიგითი ნომერი, რის შესახებაც უნდა აღნიშნონ რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ განაცხადში. ყველა სხვა პოლიტიკურ გაერთიანებას რიგითი ნომერი წილისყრით მიენიჭება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა სურთ, მიმართავს დროულად განახორციელონ აღნიშნული უფლების მოსაპოვებლად ყველა საჭირო პროცედურა, – ნათქვამია ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებაში.

პირველი რადიო

პეტრო პოროშენკო: „დონბასში არჩევნები უსაქლოა ნელსაჰ ჩატარდეს“



შენწყვეტა.

– სხვაგვარად ძალადობა და ტერორი ვერ შეწყდება, – ამბობს პოროშენკო.

„დონეცკის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელმა ზახარჩენკომ რეგიონში ეუთოს შეიარაღებული პოლიციური მისიის შეყვანას სასტიკად დაგმო. მან აღნიშნა, რომ დონბასი ასეთი მისიის გამოჩენას, როგორც შეიარაღებულ აგრესიას, ისე აღიქვამს.

– ჩვენ ამ მისიას ცეცხლს გავუხსნი, – თქვა ზახარჩენკომ.

ჯერჯერობით დონბასში მძიმე მდგომარეობაა. ლოკალური ხასიათის შეტაკებები არ წყდება. ტერორისტები ავდევეკის პროშონაზე შეტევას ვეღარ ბედავენ, სამაგიეროდ, ქვეშევრდებიდან პროშონას განუწყვეტილ ბომბავენ.

– გასული დღე-ღამის განმავლობაში ჩვენი მეომრებიდან არავინ დაღუპულა. დაჭრილია შვიდი ჯარისკაცი, – იტყობინება უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციების მთავარი შტაბი.

ნიგერიელი ბაროკოლის მასშტაბებს აფართოვებენ

ნიგერიაში ეროვნული უსაფრთხოების სამიტი ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც ნიგერიის ხელმძღვანელებმა, ასევე



აშშ-ის თეთრი სახლის წარმომადგენლებმა, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა, ჩადის, კამერუნის პირველმა პირებმა.

– სამიტის ძირითადი თემა ტერორისტული ორგანიზაცია ბოკა ხარამთან ბრძოლის გაფართოება იყო, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ნიგერიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზადაა განათავსოს ქვეყანაში ახალი საჯარისო ქვედანაყოფი 8.500 მეომრის ოდენობით. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ბოკა ხარამთან ბრძოლის მასშტაბები გაფართოვდება.

– ტერორისტებს აუცილებლად გავანადგურებთ, – თქვა მან.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა მაღალი შეფასება მისცა იმ ღონისძიებებს, რომელთაც ნიგერიის ხელისუფლება ტერორისტების წინააღმდეგ ატარებს. ბოკა ხარამის ბოვეკებმაც სამთავრობო ჯარებთან შეტაკებებში უდიდესი ზარალი განიცადეს და უკან იხევნ.

– მიუხედავად ამისა, ბოკა ხარამი რეგიონისათვის საფრთხეს ჯერ კიდევ წარმოადგენს, – თქვა ოლანდმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ვლადიმერ პუტინი: „რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში უდიდესი პრობლემებია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კურსი არმიის გადაიარაღებისაკენ აიღო, რაც ამჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობითაა განპირობებული.“

ვლადიმერ პუტინი: „რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში უდიდესი პრობლემებია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კურსი არმიის გადაიარაღებისაკენ აიღო, რაც ამჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობითაა განპირობებული.“

ვლადიმერ პუტინმა თავის ტელეინტერვიუში თქვა, რომ რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში უდიდესი პრობლემებია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კურსი არმიის გადაიარაღებისაკენ აიღო, რაც ამჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობითაა განპირობებული.



– ნატოს ჩვენს საზღვრებთან მოახლოება, ალმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება, ბანდერელთა გაძლიერება უკრაინაში, ომი დონბასში, საერთაშორისო ტერორიზმი – ყველაფერი ეს გვაიძულებს, გადავძლიეროთ არმია, – თქვა პუტინმა.

ამავე დროს, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა აღნიშნა, რომ არმიის გადაიარაღების გზაზე უამრავი დაბრკოლება წარმოიქმნა. სახელმწიფო დაკვეთების დიდი ნაწილი ჩაიშალა. არის შემთხვევები, როცა სამხედრო ქარხნებმა არმია უფარგისი ტექნიკით მოამარაგეს, კარგი კი საზღვარგარეთ გაყიდეს.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა მანევლობა! – თქვა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კვალ-სახსართა პროგნოზი:

კოქსარტოროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატიკური ათროზის, ანკილოზიკური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე – ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმი-დამო მინის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსავლურული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5\$; 2000 კვ.მ. ფასი 3\$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● გემურნალობა ბუასილს (პემორი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი ნაშთით. შედეგი 100%-იანი. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებით ტკივილები. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამონეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მონესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტყვისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შევდილობით შეურით ფარულად საკვებში. სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამოირიცხება. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენი დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მონესრიგება. ბეთლემისა და მეტყვის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც), შედეგი 100%-იანი. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნეგების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადავარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქვილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახეს და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქანი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმატულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელ-ტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქანი ვიქტორია.

ბარაქ ობამა: რუსეთის წინააღმდეგ დანახებული სანაღმარი მანამ არ გაუქმდება, სანამ ყირიმი უკრაინას არ დაუბრუნდება

ამერიკის პრეზიდენტი ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოების ლიდერებს შეხვდა

პრეზიდენტი ობამა შედეგით, ფინეთის, დანიისა და ისლანდიის ლიდერებს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა იყო. ობამა განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებზე შეჩერდა. მან ყირიმის ანექსიაზე დანერგვებით ისაუბრა და თქვა, რომ ყირიმის საკითხში დასავლეთმა გაუმართლებელი გაუბედობა გამოიჩინა. ამან საშუალება მისცა რუსეთს, ნახევარკუნძულის ანექსია სწრაფად, თოფის გასროლის გარეშე მოეხდინა. ასე დაიწყო პუტინის გრანდიოზული გეგმის განხორციელება, რაც „ნოვოროსიის“ აღდგენის მცდელობით გამოისახა. ყირიმის ანექსიას უნდა მოჰყოლოდა სეპარატიზმის აზვირთება ოდესაში, დნეპროპეტროვსკში, ხარკოვში და ა.შ. უკრაინისაგან აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონების ჩამოშორებით რუსეთი გადიოდა დნესტრისპირეთზე. ამით მის კონტროლქვეშ ექცეოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონი, სადაც განთავსებულია პორტები, სამხედრო ქარხნები და ა.შ. ობამამ ხაზი გაუსვა იმას, რომ პროექტ „ნოვოროსიის“ ჩაშლა უკრაინელი ხალხის გმირობის წყალობით მოხდა. „ნოვოროსია“ კარგად იყო დაცინასებული. პუტინმა ყველაფერი გაითვალისწინა, მაგრამ გამორჩა მთავარი: უკრაინელი ხალხის განწყობა. ობამამ აღნიშნა,



– შეხვედრის შემდეგ მიღებულ იქნა აშშ-ისა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ერთობლივი განცხადება. მასში ნათქვამია, რომ ყირიმის ანექსია, დონბასში ომის გაჩაღება, აგრეთვე უკრაინის დესტაბილიზაციის მცდელობები შეუთავსებელია 21-ე საუკუნეში მიღებულ თამაშის წესებთან, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

შედეგით

პიცა კილიმანჯაროზეც მიაქვთ

პიცერიის ამერიკული ქსელი პიცა ჰუტი გინესის რეკორდების წიგნში მას შემდეგ შევიდა, როდესაც შეკვეთის ადგილზე მიტანა მწვერვალ კილიმანჯაროზე განახორციელა. ამ ინფორმაციას გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

აფრიკაში რესტორნების ქსელის გენერალურმა მენეჯერმა რანდელ ბლეკფორდმა, ქსელის თანამშრომლებმა და პროფესიონალმა გიდებმა პიცა „პეპერონი“ 5,8 ათასი მეტრის სიმაღლეზე აიტანეს. ამგვარად, მათ პიცის ხმელეთზე ყველაზე მაღალ წერტილში მიტანის რეკორდი დაამყარეს. ამ მოგზაურობას გუნდმა ოთხი დღე მოანდომა.

რესტორნების ქსელის წარმომადგენლებთან ერთად, პიცის მწვერვალზე ატანაში ასევე მონაწილეობდნენ ამერიკული კორპორაცია უამ-ბრენდის თანამშრომლები, რომელიც საზოგადოებრივი კვების სფეროში მოღვაწეობს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე გინესის რეკორდების წიგნის არხზე იქნა განთავსებული.

რესტორნების ქსელის პრეზიდენტი მილინდა პანტის თქმით, ამ ასვლით კომპანიამ საკუთარი რესტორნის გახსნა აღნიშნა ტანზანიაში, რომელიც რიგით მესამე ქვეყანა გახდა, სადაც პიცა ჰუტი საკუთარი წარმომადგენლობა აქვს.

ყველაზე მახინჯი ძაღლი გმირობისთვის დააჯილდოვეს

ლონდონში ძაღლი, სახელად მაგლი, რომელიც 2012 წელს მსოფლიოში ყველაზე მახინჯ ძაღლად აღიარეს, შინაური ცხოველების ეროვნული შოუს ფარგლებში გმირობისთვის დააჯილდოვეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ძაღლზე პატრონებმა უარი მისი დაბადებისთანავე თქვეს. მაშინ მაგლი სამსახურში ერთ-ერთმა ბრიტანულმა ორგანიზაციამ აიყვანა, სადაც ის ძაღლი-თერაპევტის ფუნქციას ასრულებდა. ის ეხმარებოდა როგორც ბავშვებს, რომლებიც რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ასევე – მოზრდილ ინვალიდებს.

12 წლის ასაკში მაგლი პენსიაზე გავიდა. ცხოველის ახალი პატრონი, საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი ბევ ნიკოლსონი აღფრთოვანებულია იმით, თუ როგორ სწრაფად ეჩვევა მაგლი უცნობ ადამიანებს.

– ის ყველას ინდივიდუალურად უდგება, უსინათლოებს უფლებას აძლევს, ხელით შეეხონ, ხოლო განერვიულებულების მიმართ ალერსიანი ხდება, – განაცხადა ნიკოლსონმა.

უელსში მასხარამ მაყურებელი ნოკაუტში ჩააგდო

ცირკში, რომელიც უელსის კაირფილის ოლქში მდებარეობს, მასხარამ წარმოდგენის დროს მაყურებელი შემთხვევით ნოკაუტში გაუშვა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე ერთ-ერთმა თვითმწიფელმა განათავსა. სამი დღის განმავლობაში ვიდეორგოლმა 200 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 37 წლის ბენ გარნჰემი შოუზე ბავშვებთან ერთად მივიდა. მასხრის გამოსვლის დროს მამაკაცს სცენაზე გასვლა შესთავაზეს, რათა მას კომედიურ ნომერში მიეღო მონაწილეობა. ცირკის თანამშრომელმა, რომელიც მასხრის როლს ასრულებდა, მამაკაცზე მალაყზე გადასვლის ილეთის შესრულებისას შემთხვევით თავში ჩასცხო. მასხრის ამ წარუმატებელი მანევრის შემდეგ გარნჰემმა ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო.

მამაკაცი გამოსაკვლევადა საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით. ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას, ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა და თავის ტკივილს. ანესტი-გებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლავები“, მარილები, ნაშლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ესხნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობთ სიბოროს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთ ადამიანს, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიძლებოდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში განუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემაღგენლობა ტიტანის სამაჯურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმ). ნეოდიმ მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186. შავკეთიში მისამართი: 579 885 996.



მასობრივი ჩხუბი მოსკოვის სასაფლაოზე



მოსკოვში, ხოვანსკის სასაფლაოზე, ერთმანეთს ჩრდილოეთ კავკასიელები და შუა-აზიელები დაუპირისპირდნენ. ჩხუბის მიზეზი სასაფლაოს სამუშაოებზე იჯარა იყო. შუა-აზიელებს თავიანთი ინტერესი ჰქონდათ, კავკასიელებს – თავიანთი.


– ჩხუბის დროს გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე დანები, ველოსიპედის ჯაჭვები, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

შედეგად ათეულობით ადამიანი დაშავდა, სამი დაიღუპა. მილიციამ ჩხუბის რამდენიმე მონაწილე დააკავა.

პროპარლამენტი: ყირიმის დოქტრინის დანახებული სანაღმარი არ მოიხსნება

ევროპარლამენტმა განიხილა ყირიმში შექმნილი მდგომარეობა. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სანამ ყირიმის დოქტრინა არ მოხდება, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები არ მოიხსნება.

– ევროპარლამენტმა მორიდებით მიმართა ევროკავშირის ქვეყნებს, რათა დამატებითი სანქციები დაანდეს იმ ჩინოვნიკების მიმართ, რომლებიც ყირიმულ თათართა დევნა-შეგინძრობაში მონაწილეობენ, – იტყობინება „დოიჩე ველე“.



პასპორტი ბრალს სდებს



ტერორისტულმა ორგანიზაცია „ჰესბოლამ“ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისი მეთაური მუსტაფა ბედრედინი ისრაელის ავიაციის დარტყმის შედეგად დაიღუპა.

პა. „ჰესბოლამ“ თავისი მეთაურის სიკვდილში სუნიტი ექსტრემისტები დაადანაშაულა.

– ბედრედინი მათი საარტილერიო დაბომბვის შედეგად დაიღუპა, – ნათქვამია „ჰესბოლამ“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სირია: პასპორტისა და საპარლამენტო იურიდიული მიიჩნავენ

ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა დეი ეზ-ზარეს საავადმყოფო დაიკავეს. ბრძოლების შედეგად დაიღუპა სამთავრობო შეიარაღებული ძალების 35 ჯარისკაცი. ხელისუფლებამ ქალაქში დამატებითი ნაწილები გადაისროლა. ისლამისტებმა უკან დაიხიეს.



სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგიჩვენებს სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

მკურნალობა: 1. სეზონებს; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მეკრდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვსხნი მეჭეჭებს; 17. განკურნავს ჭიებისგან; 18. დაეშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82



უმაღლესი ლიგის დაბოვების კანდიდატი ხუთი გუნდია

სიონი – დინამო (თბ) 1:2
ბოლნისი. თამაზ სტეფანია
0:1 ლობჯანიძე (42), 0:2 ქვილითაია (44), 1:2 შკუბუღიანი (90)
სიონი: ნანიევი, ფოფხაძე, სვანიძე, გაფრინდაშვილი, გიორგულიძე, ჯინჭარაშვილი, შალამბრიძე (ტატიანაშვილი 72), საჯაია (შკუბუღიანი 66), გვალაია, მანგაძე, ვიერა მედინა

დინამო: პრდილჩკა, ულოზუა-ნიძე, ჯანელიძე (ჭანტურიშვილი 56), ქვილითაია (ლილუაშვილი 76), კიტეიშვილი (პარუნაშვილი 68), თევზაძე, გურული, ალვარო, სლობჟანიძე, ჯილაური, ზაქელიძე
გუნდებს შორის მთავარი მატჩი 18 მაისს საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში უნდა შედგეს, ამიტომ ბოლნისელთა თავკაცმა რამდენიმე ძირითადის ფეხბურთელი დაასვენა და თბილისელებს მეორე შემადგენლობით დაუშვა.

შეხვედრაში პირველი გოლი 42-ზე წუთი გავიდა: დინამოელები ნანიევის კარისკენ ურტყამდნენ, მაგრამ ბურთი გაფრინდაშვილს მოხვდა, გადმოვარდნილზე კი ფოფხაძეს ლობჯანიძემ დაასწრო და ახლოდან ნანიევის აულებელი გაუტანა – 0:1.

გოლამდე ქვილითაიას ჰქონდა რამდენიმე მომენტი, მაგრამ ნანიევა ურთულესი ბურთები მოიგერიდა.

გაშვებული გოლის შემდეგ ბოლნისელთა დაცვა არადამაჯერებლად მოქმედებდა. ჯინჭარაშვილის შეცდომა ფოფხაძემაც ვერ გამოასწოროს. მას ქვილითაიამ აჯობა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მშვიდად გაიტანა – 0:2.

მეორე ტაიმში ბოლნისელები უკეთესად გამოიყურებოდნენ და შეტევებსაც მეტი სიმწვავე მისცეს. არმაზ ჯეღაძემ ცვლილებებს მიმართა და ამაზ გაამართლა კიდევ. მოედანზე დუბლების ფეხბურთელს, ახალგაზრდა ნახევარმცველს შკუბუღიანს უნმო, რომელმაც პრესტიჟის გოლის გატანა შეხვედრის ბოლო წუთზე გაიტანა.

ლოკომოტივი – ტორედაო 1:2
თბილისი. მიხეილ მესხი
0:1 ტულუში (45), 0:2 კუხიანიძე (56), 1:2 ფოფხაძე (81)

ლოკომოტივი: კუპატაძე, ფოფხაძე, გაბაძე, გეთიაშვილი, ჩიტეიშვილი, ქიქავა, სამურკასოვი (დარციმელია 61), არდაზიშვილი, კიკაბიძე (დიასამიძე 56), შვევაშვილი (გავაშელიშვილი 65), ჩაგელიშვილი

ტორედაო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ნერგაძე, ჭიჭინაძე, ტულუში (ნილოსანი 74), მამასახლისი, კლიმაშვილი, კუხიანიძე, ბაბუნაშვილი (ფურ-

ცხვანიძე 72), შინდაგორიძე (ქიმაძე 28), კაპანაძე

ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩში ტორედაომ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ქულები ლოკომოტივს უფრო სჭირდებოდა, მატჩის შედეგი კანონზომიერი გახლდათ, რადგან თამაშის უმეტესი დრო ქუთაისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა.

პირველ ტაიმში მეტოქეებმა შედარებით ფრთხილად იბურთავეს. ორივე კარის მიმართულებით განხორციელებული არაზუსტი შორეული დარტყმები. შესვენებამდე აღარაფერი რჩებოდა, როცა ბექა ტულუშმა დაახლოებით 18 მეტრიდან ეფექტური ყუმბარისეული დარტყმით უშანსოდ დატოვა ლაზარე კუპატაძე.

ტაიმის განახლებიდან 10 წუთში სტუმრებმა ანგარიში გააორმაგეს. ლოკომოტივის საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეჭრილი ირაკლი კლიმაშვილის წინააღმდეგ უზეში თამაშისათვის არბიტრმა 11-მეტრიანი დასაჯა გიორგი გაბაძე და გიორგი კუხიანიძემ ტექნიკურად შესრულებული დარტყმით თავისიანთა უპირატესობა გაზარდა.

ამის შემდეგ ქუთაისელები მყარად ფლობდნენ ინიციატივას და არაერთხელ იყვნენ მიზანთან ახლოს, თუმცა ტულუშმა, ოლეგ მამასახლისმა, თორნიკე კაპანაძემ, შალვა ფურცხვანიძემ ვერ ისარგებლეს შანსით.

81-ე წუთზე უკვე მასპინძლებმა მოიპოვეს პენალტის უფლება და გიორგი ფოფხაძემ ერთი ბურთი გაქვითა. დარჩენილ დროში თამაში ორმხრივ იერით იმედინარეობდა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

საპრეტალე – დინამო (ბთ) 1:2
თბილისი. მიხეილ მესხი 2
1:0 ცაცკიაშვილი (52), 1:1 მაქაყარიძე (83), 1:2 შონია (90)

საპრეტალე: გოშაძე, თოთაძე, მარგველაშვილი, გოშთელიანი, ფანცულაია (რუხაძე 62), ჩაბრონი, ბიძინაშვილი (მამუკაშვილი 76), ცაცკიაშვილი, ელვინ ტერა (იაშვილი 85), კოხრეიძე, სოფროშაძე

დინამო: ტაკიძე, სუხიაშვილი, ტეტუნაშვილი, ქორიძე, გოგატაძე (მგელაძე 75), კომახევი, ვარშანიძე, თევდორაძე (კვანტალიანი 77), კაშია (მაქაყარიძე 70), ფონიაშვილი, შონია
თბილისელები მეორე ტაიმის დებიუტში დანინაურდნენ – გოლი რატი ცაცკიაშვილმა გაიტანა. თუმცა, 83-ე და 90-ე წუთებზე აჭარლებმა მოახერხეს ქალაქელების კარის აღება და საბოლოოდ გამარჯვებაც მათ დარჩათ.



შუშუბა – ჩხეშრა 0:2
ქობულეთი. ჩილე არენა
0:1 კირკიტაძე (17), 0:2 მუმლაძე (69)

შუქურა: ჯიოვევი, აფაქიძე (ბრაჭული 17), ზამალანია, ჩაჩუა, კალანდაძე (ტაკიძე 76), პუკანიჩი, გენაძე (ჭანუყვაძე 46), თარხნიშვილი, კომახიძე, ე.ლობჯანიძე, ურიდია

ჩხეშრა: შამშიჩი, კაშია, რეხვიაშვილი (მეგრელიშვილი 49), ჩიკვაძე, კაკაშვილი, განუგრაძე, დობროვოლსკი, ვუკასოვიჩი, ჭეჭელაშვილი (დეკანოიძე 69), თ.კირკიტაძე (ჯოხაძე 58)

ჩხეშრამ მე-4 ადგილი გაინაღდა და ახლა თასის ფინალში თბილისის დინამოს გულშემატიკობრებს, რადგან, თუ დინამო ბოლნისის სიონთან წააგებს, ევროსაგზაურს ქვემოქართელები მიიღებენ.

ზემო იმერლებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს: ჯერ თავი თორნიკე კირკიტაძემ გამოიჩინა, ხოლო შემდეგ – თორნიკე მუმლაძემ.

ზუგდიდი – ქულსაი 2:1
ზემო ენერი. ცენტრალური
0:1 კორობკა (5), 1:1, 2:1 სამუშია (63, 78)

ზუგდიდი: ზარქუა, გაგოშიძე (მალანია 69), ჯავაშვილი, ჩუკვურა, ქანთარია, ტყემალაძე, სიხარულია, გასამუშია, ქირია (ფიფია 86), ჩანადირი (თუბერეიძე 46), ცსამუშია

კოლხეთი: ძაგანია, გკილასონია, ჩაქვეტაძე, ქუბურია, თევზაძე, ლემონჯავა, სიჭინავა, გურგენიძე (პოლუხიაშვილი 54), გიგაური, კორობკა, ნიქაბაძე (კვარაცხელია 24, კაკულია 46)

გაძეგება: ლემონჯავა (54)
მნიშვნელოვანი 3 ქულა აიღო ზუგდიდმა და ამ საქმეში გუნდს ისევ გურამ სამუშია დაეხმარა, რომელმაც წინა ტურში ზუგდიდელებს პეტრიკით მოაგებინა, ახლა – დუბლით.

არადა, თავიდან ზღვისპირელები დანინაურდნენ – თავი ლეგიონერმა კორობკამ გამოიჩინა, ხოლო სამუშიას დუბლზე უკვე გითხარით.

გური – სამტრედია 0:2
ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე
0:1 სანდოხაძე (31), 0:2 დათუნაიშვილი (61)

გური: იმერლიშვილი, გელაშვილი, ჩადუნელი, კაბორე, ნოზაძე, კახელიშვილი (ლაბაძე 82), მოროზენკო (გუგუაძე 72), კვეკვესკირი, გამყრელიძე, ალავერდაშვილი (შტანდერი 46)

სამტრედია: მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, ცნობილაძე, ენდელაძე (კერძევაძე 79), რაჟაშვილი, ზივზივადი, დ.ჯიქია (მარკოზაშვილი 70)
გაძეგება: კაბორე (41)
სამტრედიათ თავისი თამაში მოიგო და აღმოჩნდა, რომ ტურით ადრე მე-2 ადგილი გაინაღდა. ევროსაგზაური კი იმერლებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ.

ანგარიში მცველმა ნიკა სანდოხაძემ გახსნა, ხოლო მეორე ტაიმში გიგა დათუნაიშვილმა გააორმაგა.

საპრეტალე – ცხინვალი 2:1
ზეესტაფონი. დავით აბაშიძე
0:1 ისიანი (31), 1:1 ბიბილეიშვილი (58), 2:1 ბუხაიძე (65)

საპრეტალე: სომხიშვილი, ოდიკაძე, ჩიკვილაძე, ენდელაძე, ნარიშკინი, ვაჭარაძე (შარიქაძე 49), ბიბილეიშვილი (მაჭავარიანი 68), ქათამაძე, მაკარიძე, ტყემელაშვილი (ლ.ჭელიძე 87), ბუხაიძე

ცხინვალი: ნადირაძე, ჯაფარიძე, მისაშვილი, კაკუბაძე, გორგიაშვილი, ბეჭვია, ქორლაძე (ბაჩიაშვილი 67), ლობჯანიძე, ქარდავა, ივანიშვილი (ლექეთაძე 46), ისიანი (გაბრიჩიძე 77)

ბოლომდე იბრძვიან თერჯოლები ელიტაში დასარჩენად და ცხინვალებს ბრძოლაში მოუგეს. თავიდან ისიანის გოლით სტუმრები დანინაურდნენ, მაგრამ ბიბილეიშვილმა და ბუხაიძემ მასპინძლებს იმედი დაუტოვეს.

მერანი – დილა 3:2
მარტვილი. მურთაზ ხურცილაძე
1:0 უგულავა (12), 2:0 ხაბე-ლაშვილი (16), (16), 2:1 ძარია (48), 2:2 ფალავანდიშვილი (72), 3:2 ჯიქია (90)

მერანი: მამალაძე, მელიაძე, გეგია, ციციშვილი, გიორგაძე, წყაროზია (შენგელია 24), ტეიდი, ხაბელაშვილი (კიკნაველიძე 77), გოგუაძე, შ.ჯიქია, უგულავა (საბანაძე 54)

დილა: ლეგაშვილი, კირკველია, ლონდაძე, ბაგაევი, სამხარაძე, ძარია (საბაძე 71), თეთურმანიძე (მოდეგაძე 66), ფალავანდიშვილი, ნონიკაშვილი, მარცვალიძე, მამუკოვი (გამცემლიძე 81)

უმალესში დარჩენისთვის იბრძვის მარტვილის მერანიც და დილასთან მნიშვნელოვანი 3 ქულა აიღო. თუმცა, ჯერ კიდევ გავარდნის რეალური კანდიდატია.

დილაზე კი ამ მარცხით მე-2 ადგილისთვის ბრძოლა წააგო სამტრედიასთან.

მატჩი უხვგოლიანი გამოდგა – მერანი თავიდანვე 2 ბურთით დაწინაურდა, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში გაქვითეს გორელებმა, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში შოთა ჯიქიას გოლით გამარჯვება მეგრელებს დარჩათ.

სატურნირი ცხრილი:									
1.დინამო (თბ)	29	24	1	4	73-29	73			
2.სამტრედია	29	20	3	6	65-30	63			
3.დილა	29	18	5	6	48-25	59			
4.ჩხეშრა	29	16	6	7	50-24	54			
5.სიონი	29	13	8	8	48-33	47			
6.ტორედაო	29	13	6	10	45-42	45			
7.ცხინვალი	29	12	9	8	50-35	45			
8.დინამო (ბთ)	29	12	7	10	41-32	43			
9.საპრეტალე	29	11	6	12	47-56	39			
10.შუქურა	29	9	8	12	28-38	35			
11.კოლხეთი	29	7	6	16	21-40	27			
12.ლოკომოტივი	29	5	9	15	25-36	24			
13.გურია	29	5	9	15	27-49	24			
14.ზუგდიდი	29	5	8	16	30-57	23			
15.მერანი	29	5	7	17	28-62	22			
16.საპრეტალე	29	5	6	18	22-60	21			

შეატყვება მსხვილ ფორმულაში

შედეგები

14 მაისი									
ფაზაშტო									
ინტენსი. ჩემპიონი									
დერბი-პალი	0:3								
ბარნსლი-უოლსოლი	3:0								
ესპანეთი. ჰიშიპა ცივილიზი									
გრანადა-ბარსელონა	0:3								
დეპორტეივო-რეალი	0:2								
ბილბაო-სევილია	3:1								
ატლეტიკო-სელტა	2:0								
სატურნირი ცხრილი									
1.ბარსელონა	38	29	4	5	112:29	91			
2.რეალი	38	28	6	4	110:34	90			
3.ატლეტიკო	38	28	4	6	63:18	88			
4.ვილიარეალი	37	18	10	9	44:33	64			
5.ბილბაო	38	17	8	12	58:45	62			
6.სელტა	38	17	9	12	51:59	60			
7.სევილია	38	14	10	14	51:50	52			
8.მალია	38	12	14	14	36:35	48			
9.სოხიედალი	38	13	9	16	45:48	48			
10.ლას პალმასი	38	12	8	18	45:51	44			
11.ვალენსია	38	11	11	16	46:48	44			
12.ვიტორია	37	11	10	16	47:57	43			
13.დეპორტეივო	38	8	18	12	45:61	42			
14.ბეტისი	37	10	12	15	32:51	42			
15.ესპანოლი	37	11	7	19	36:72	40			
16.გრანადა	37	9	9	19	46:69	39			
17.სეტიფი	37	9	9	19	36:65	36			
18.სიონი	37	9	9	19	38:62	36			
19.რეალი	37	8	11	18	49:72	35			
20.ლეგანესი	37	8	8	21	36:67	32			
ესპანეთი. სეკუნდა ცივილიზი									
ვალენსი-ალბასეტე	1:0								
მალორკა-ტენერიფე	1:0								
ნუმანსია-სარაგოსა	2:2								
ოვიედო-მირანდესი	4:0								
გერმანია. ბუნდესლიგა									
აუგსბურგი-ჰამბურგი	1:3								
ბაიერნი-ჰანოვერი	3:1								
ლევერკუზენი-ინგოლშტადი	3:2								

დორტმუნი-კიოლინი	2:2
ვერდერი-აინტრახტი	1:0
ვოლფსბურგი-შტუტგარტი	3:1
დარმშტადი-გლადახაი	0:2
მაინცი-ჰერტა	0:0
ჰოფენჰაიმი-შალკე	1:4
საბოლოო ცხრილი:	
1.ბაიერნი	34 28 4 2 80:17 88
2.დორტმუნი	34 24 6 4 82:34 78
3.ლევერკუზენი	34 18 6 10 56:60 60
4.გლადახაი	34 17 4 13 67:50 55
5.შალკე	34 15 7 12 51:49 52
6.მაინცი	34 14 8 12 46:42 50
7.ჰერტა	34 14 8 12 42:42 50
8.ვოლფსბურგი	34 12 9 13 47:49 45
9.კიოლინი	34 10 13 11 38:42 43
10.ჰამბურგი	34 11 8 15 40:46 41
11.ინგოლშტადი	34 10 10 14 33:42 40
12.აუგსბურგი	34 9 11 14 42:52 38
13.ვერდერი	34 10 8 16 50:65 38
14.დარმშტადი	34 9 11 14 38:53 38
15.ჰოფენჰაიმი	34 9 10 15 39:54 37
16.აინტრახტი	34 9 9 16 34:52 36
17.შტუტგარტი	34 9 6 19 50:75 33
18.ჰანოვერი	34 7 4 23 31:62 25
იტალია. სერია ა	
იუვენტუსი-სამპდორია	5:0
მილანი-რომა	1:3
ნაპოლი-ფროზინონე	4:0
სასუოლო-ინტერი	3:1

სატურნირი ცხრილი:					
1.იუვენტუსი	38	29	4	5	75:20
2.ნაპოლი	38	25	7	6	80:32
3.რომა	38	23	11	4	83:41
4.ინტერი	38	20	7	11	50:38
5.ფიორენტინა	37	17	10	10	56:40
6.სასუოლო	38	16	13	9	49:40
7.მილანი	38	15	12	11	49:43
8.ლაციო	37	15	9	13	50:48
9.კიევი	37	13	10	14	43:45
10.ჯენოა	37	13	7	17	44:46
11.ტორინო	37	12	9	16	51:53
12.მედიოლა	37	11	10	16	38:48
13.ატალანტა	37	10	12	15	39:46
14.ბოლონია	37	11	8	18	33:45
15.სამპდორია	38	10	10	18	48:61



ბატმა თავისი შვილის
გადარჩენა პოლიციელს სთხოვა

ამერიკის ოჯახის შტატში ბატმა დახმარების-
თვის, რათა თავისი შვილი გადაერჩინა, პოლიციელს
მიმართა.

პოლიციის სერჟანტ ჯეიმს გივენსის თქმით, ის მანქანაში იმყოფებოდა, როდესაც ბატი ავტომობილ-
თან მივიდა.

– ის შეუწერებელი უნისკარტებდა მანქანის კარს, მაშინ როდესაც ისინი ადამიანებთან ასე ახლოს არ მიდიან. შემდეგ უკან გადავა და მიყურებდა. როდესაც უკან გავყევი, იმ ადგილთან მიმიყვანა, სადაც თოქებში გაბლანდული მისი შვილი იწვა, – განაცხადა პოლიციელმა.

სერჟანტმა კოლეგა სესილია ჩერონთან ერთად თოკებისგან გაათავისუფლა პატარა ბატი. გივენსი ფრინველის ადამიანთან კონტაქტისას მისმა მშვიდმა რეაქციამ გააკვირვა.

– ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ბატებს ადამიანების ეშინიათ და თავს ესხმიან, თუ ისინი მათ შვილებს მიუახლოვდებიან, – აღნიშნა სერჟანტმა გიგინმა.



**ახემაღლის თეატრმა
სპექტაკლი ჩაიბაღუნა
ითამაშა**

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარგალში ახმეტელის თეატრმა ვაჟა-ფშაველას სახლ მუზეუმში სპექტაკლი ითამაშა.

ქართული კლასიკოსი მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების ერთ-ერთ თარიღად 15 მაისი განიხილება და სწორედ ამ დღეს ვაჟა-ფშაველას შთამომავლის ლელა ზაზიკაშვილის ინიციატივით ახმეტელის თეატრმა სპექტაკლი „სტუმარი-მასპინძელი“ ჩარგაღო. ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოში წარმოდგინა სპექტაკლი ახალგაზრდა რეჟისორმა ირაკლი გოგიამ დადგა.

ეს არის ეროვნულ მოტივებზე აგებული, თანამედროვე თეატრალური ფორმებით გააზრებული დადგმა, რომლის მეშვეობით ქართული ცნობიერების, მენტალობის, ტრადიციების, მსოფლმხედველობის და ფოლკლორის სინთეზურად წარმოჩენა ხდება.

– გაჟას სათქმელს შევიკიძლია
თავისუფლად ვუწოდოთ საკაცობრიო
სათქმელი, გაჟას ლექსიკა განუწეოვრე-
ბელია და ყველაფერი ეს გარისკო-
შეკრიბო და დადო სცენაზე, არის
შემოქმედებითი თავხედობა. ხოლო თუ
არ ითავსებად შემოქმედებითმა ადამი-
ანმა, ის ვერ მიიღებს შედეგს. ამბობენ,
ვინც არ რისკავს, ის რისკის შედეგად
მიღებულ სიხარულს ვერასდროს იგ-
რძნობს. დღეს მე შემიძლია თამაშად
ფიქვად, რომ იმ რისკის შედეგად მიღ-
ებული სიხარულით ხარობდა მთელი
დარბაზი. საოცარი გადაწყვეტა იყო
რეჟისორული, ყველაზე მასიური სცე-
ნების მიცერი დეტალებით გადაწყვე-
ტა. ყოჩაღ! მე ასეთი „სტუმარ-მასპინ-
ძელ“ ჯერ არ მინახავს. არავის ეწყი-
ნოს, მაქვს ნანახი რამდენიმე ვარიან-
ტი, მათ შორის ახალგაზრდების ნამუ-
შევარი, მაგრამ ჯერჯერობით ეს ყვე-
ლას სჯობია, – განაცხადა ვაჟა ფშავე-
ლას შთამომავალმა ლელა რაზიკაშ-
ვილიძემ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

**ქართულმა ფილმმა
ბუენოს აირასში მთავარი ჯილდო მოიგო**

ქართველი რეჟისორის ნინო ბასილიას ფილმმა „ანას ცხოვრება არგენტინაში“ ბუენოს აირესის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი ჯილდო მოიპოვა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა შევედითში, გოტე-ბორგის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. სოციალური დრამა რეჟისორმა საკუთარი სცენარის მიხედვით გადაიღო. ფილმი მარტიხელა დედის მძიმე ცხოვრებას ასახავს და მასში მთავარ როლს მსახიობი ეკა დემეტრაძე ასრულებს.

ნინა ბასილია მაყურებელმა თეატრალური სპექტაკლების დადგმით გაიცნო, თუმცა თეატრის სცენიდან მოგვიანებით რეჟისორმა კინოს გადასაღებ მოედანზე გადაინაცვლა და საერთაშორისო წარმატებებსაც მიაღწია.



**ჯაბა გოჯგუას დანახმარებელ
კონსერტზე ბილეთები არ გაიყიდა**

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტრო უარი განაცხადა მომღერალ ჯაბა ბოჭუგაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზებაში მონაწილეობაში, მისი გაუსაძლისი მდგომარეობით შეწუხებულმა მოქალაქეებმა, დიდ საკონცერტო დარბაზში მან დაგვამეს კონცერტი და მასში ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები მიიწვიეს.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ლელა წურ
ნუშია, მერაბ სულავაძე, სახე, დათო ხუჯაძე, ნინო
ჩხეიძე, ქაიხარა ბიჭიშვილი, თეატრალურის კვარტეტი, ალი
ჯობაძე, გიო ხუციშვილი, ოთიკო ანდრიაძე, ნიდეიკო ჭ
დათუნა მეტეაძე, სეიმინი, ნიონი ბაღურაშვილი, დათო ა
ბერიშვილი, ანი ღონაძე, შოთა და რენე ქარცივაძე,

12 მაისს დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი ჯაბა ბოჯგუას დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი ჩაიშალა. ამის მიზეზი ბილეთების მცირეოდენობით გაყიდვა გახდა. 10, 15 და 20 ლარიანი ბილეთები მინიმალური რაოდენობით გაიყიდა, რამაც კონცერტის ჩაშალა გამოიწვია.

ჯგბა ბოჯგუბ უკვე 8 ნელია კომპიბა და ლოგინს არის მიჯგაჭვული. ის დედასთან და მოხუც ბებიასთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია.



ძიარაძე ივანე ივანის ძე

სტანდარტი



1. ქალშეილი (ინგლისურად); 2. გერმანული ელტექნიკური კომპანია; 3. „... სეზარ დე ბაზანი“; 4. ცხენის კისრის დასასრული ბეჭების თავთან; 5. ამერიკული ჟურნალი; 6. ფართოფარგლებიანი მცენარე; 7. სულენის გამოძახება; 8. გვეგვიტელთა მზის ღვთაება; 9. ... მორჩილიაძე; 10. თხელი ფურცლოვანი რკინა; 11. უზნაი თილისში; 12. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 13. დელქისკინი, ცნობარი; 14. ტყის სამკურნალო მცენარე; 15. ... გაფრინდაშვილი; 16. იტალიელი პოეტი ... კამპანელი; 17. ვაშა! (იპოპორადა); 18. კოლხი მდედას დედა; 19. პოეტური შთაბრუნების წყარო; 20. ხორციანი კორკოტი; 21. დოღი; 22. ბერძნული ანბანის ასო; 23. ოგესტო... (მოქანდაკე); 24. გამაგრილებელი სასმელი; 25. ფიცარის სახეობი დაზგა; 26. რუსული ფულის ერთეული; 27. პატარა ტანის ცხენი; 28. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 29. მეორე ნოტი; 30. ზომის ძირითადი ერთეულის მეძლიარდედი; 31. ძვირფასი მგელთა; 32. ქალაქი საფრანგეთში.

წინა ნომერიში გადმოქვეყნებული ყოფილიყო ზუსტად:

კრესვორდი ა

შეეულად: 1. ამირანი; 2. მაკუბეტი; 3. კვაისა; 4. ბროლა; 5. დინდგელი; 7. ჩაი; 11. კლოაკა; 15. მენიკი; 16. ბესონი; 17. სამბო; 18. ზესხო; 20. ნოინი; 22. ნეტო.

თარაზულად: 6. მაზარი; 8. სარაგეო; 9. პროფანი; 10. რეპლიკა; 12. ტუტუკი; 13. ამაგი; 14. ვაპორეტო; 19. კანტონი; 21. მადონა; 23. ელისო; 24. აბორტი; 25. ოკუნენდი; 26. კოსტიოლი.

პროსპორდი ბ

შეეულად: 1. ფორტუნა; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. ვინოტერა; 7. კონდიტერი; 8. ფრეიფიუსი; 12. კარტინი; 14. სოლოტერი; 16. ტვიშული; 17. სახობა; 19. ბაქი; 20. ტროა.

თარაზულად: 5. მოსამება; 6. სტოქჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. ტენგე; 13. შაშვი; 15. დილიტი; 18. წყალი; 21. კლავატარი; 22. ჟიარანი; 23. ფილიპსი.

ახსენიანობები
16 მაისისთვის

პაქი – ერთ-ერთი რთული დღეთაგანია, განსაზღვრება – ფინანსური თვალსაზრისით. საცემოდ მზადდება კატეგორიულად აკრძალულია. მოსალოდნელია ინფლექტი თვეწინის უცნობ ადამიანებთან. **პაქი** – რეკლამირი კეთილისმყოფელი დღეა. თქვენი აქტიური რეაქცია ხელშეწყობას შუამწინელი არ დაირჩება. **პაქი** – გაუფრთხილად, ნერვებს არ აწყვეთ. დაისვენეთ კარგი იქნება, თუ წყლის პროცედურებს ჩაიტარებთ. **ტურმები** ამ თავად ეწეით მათ. იაქტიურად. საღამოს დღესასწაული მოუწვევთ. **ლოქი** – ფრთხილად იყავით. დღე აზარტულ თამაშებს. ცდუნებას ნუ აწყვევით. მინიმუმების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **პალაქი** – ედღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ ნაგადგებათ. **ურად** იღეთ. **სასწილი** – ეს დღე სირთულეებთან აღიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობა ირრრრ. **წინაწილი** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღებოვნებით თქვენს ფსიქომოციურ მდგომარეობაზე უნდა იქნეთ. **პაქი** – კარგი დღეა სამოგზაუროდ წასვლა დატვირთვისათვის. ენერგიე კამოს მეგობრებთან. **პაქი** – კარგი დღეა. **სისი** – შესაფერისი დღეა აქტიური ინტელისთვის. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ზედმეტი არაზიარა. **პაქი** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი რეაქცია. საზრუნარობა და მოვლენების საღად აღქმა. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. გეგმავთა დიდსულოვნება, სულიერი წონასწორობა, ურთიერთად ახლოდღებთან. კომერსანტებს პრობლემები შეეძლება არ არის ფინანსური დანაკარგები. **გისეხება**




**მკურნალობა
მამაკცხებისთვის!**

**სამკერძალო-ლიბნოსტიკური
ტენიანი „ქაღალდი“ გთავაზობთ
მაღალხარისხიან და სრულფასოვან
მკერძოებს შემდეგ დაავადებებზე!**

- 1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტაიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენერგია, ნეა-ტკივილი შარდვისას);
- 2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
- 3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
- 4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უფრადულ დონეზე);
- 5) ნერვული სისტემის მომწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკუპუნქტურული აზრობა, უძილობა).

მოგესალმებათ
მალაკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასო!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მნავლე ოფისი“.

	29	→		3
--	----	---	--	---





ფიროსმანის „შველი წყლის პირას“ სოთბის აუქსიონზე იყიდა

5-წლიანი პაუზის შემდეგ ნიკო ფიროსმანის ნახატი „შველი წყლის პირას“ ისევ სოთბის აუქსიონზე იყიდა. „შველი წყლის პირას“ რუსული მხატვრობის ნუსხაშია შეტანილი და მისი ფასი 150.000-დან 200.000 ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს. 2011 წელს ნიკალას ეს ნამუშევარი სოთბის აუქსიონზე 500.000 სტერლინგად გაიყიდა. ამჯერად მისი ფასი საგრძნობლად დაბალია.

ნიკო ფიროსმანის ნამუშევრის გარდა, რუსული მხატვრობის ჩამონათვალშია კიდევ ერთი ქართველი მხატვრის ტილო. ლადო გუდიაშვილის ნიკო ფიროსმანის პორტრეტი სოთბის აუქსიონზე 4.000-დან 6.000 სტერლინგამდე მერყეობს.

ფიროსმანისა და გუდიაშვილის ნამუშევრები ლონდონში სოთბის აუქსიონზე 7 ივნისს გაიყიდა.

ქართველი მხატვრების ნამუშევრების რუსულ კატალოგში მოხვედრა ქართველი ხელოვნებათმცოდნეების გაღიზიანების მიზეზი გახდა:

– ივნისში ლონდონში სოთბის სააუქციონო სახლი გაყიდის რუსული ხელოვნების ნიმუშებს. მათ შორის, ამ კატალოგში გაიყიდება ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი სურათი. ეს ნამუშევარი საქართველოდან 2011 წელს გავიდა. თამარ ციციშვილის ოჯახის საკუთრება იყო. მაშინ დაახლოებით 500 ათას ფუნტ სტერლინგად იყო შეფასებული. ახლანდელი მფლობელი მას 100 ათას ფუნტ სტერლინგს აფასებს, სანაყის ფასად ანუ შესაძლოა, საბოლოო ჯამში, დაზარალდეს კიდევ. ცოტა ხნით თავი დაეანებოთ ფასს. ზუსტად ერთი წლის წინ, როცა სოთბიზე იყიდებოდა ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“, რომელიც ივანეშვილმა შეიძინა და დაამწვდია თბილისში, რა საჭირო იყო ეს აქტი, არ ვიცი. ნეტავ ვინმე ღია პოლიტიკის მქონე უცხოელ კოლექციონერს შეეძინა, ნამუშევარი მაშინაც იყიდებოდა, როგორც რუსული ხელოვნების ნიმუში. ქართული ხელოვნების კატეგორია სოთბის არ აქვს. მაშინ ამაზე ავტყებთ ამბავი. სამინისტრო დაგვიბრდა, რომ დიდ სააუქციონო სახლებთან დამყარება ურთიერთობას და მსგავს შეცდომებს ადგილი სამომავლოდ არ ექნებოდა. ისიც კი თქვამს, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრო იმუშავებდა იმისთვის, რათა ქართული ხელოვნების კატეგორიით გაყიდულიყო სამომავლოდ ქართველი მხატვრების ნიმუშები. ცხადია, სამინისტრომ პრობლემა ვერ მოაგვარა ან არც უცდია. სამინისტროს, ალბათ, კონცერტების ორგანიზებისა და ძეგლებისთვის სტატუსების მოხსნა-აფუთქებაში დიდი ენერგია მისდის, დროც არ აქვს იმისთვის, რომ საერთაშორისო სივრცეში ქართული ხელოვნების ცნების დამკვიდრებისთვის შეიმუშაოს ხედვა და შესაბამისი სტრატეგია. არადა, სამხედროებში მსგავსი საკითხების



მოგვარება სამინისტროს პირველადი ფუნქცია უნდა იყოს. დაუბრუნდეთ ფასის საკითხს. ბევრი იტყვის, რომ ფიროსმანის ცვალებადი და დაბალი ფასი სახელმწიფოს პრობლემა არ არის. არადა, არის. სწორედ ჩვენი კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთი განშტოება უნდა იყოს ქართული ხელოვნების საერთაშორისო არტბაზარზე პოზიციონირება და ფასის რეგულირებისთვის ხელშეწყობა. ჩვენ არ გვყავს კოლექციონერები, რომლებიც ქართველი მხატვრების ფასის გაზრდაზე პროფესიონალიზმით იმუშავებენ, თუნდაც საკუთარი კოლექციის ღირებულების გაზრდის მიზნით. ქართულ ხელოვნებაზე, მის ავტორიტეტზე ჯერ ისევ სახელმწიფომ უნდა იმუშაოს. ამ პროცესის ინიციატორი ისევ სამინისტრო უნდა იყოს, თუკი მას სურს, რომ როგორც სამინისტრო, ფუნქციონირებდეს, არსებობდეს. ოდესმე ფიროსმანი რომ მოხვდეს იქ, სადაც იმსახურებს, ჩვენი აზრით, ხომ იმსახურებს, არა? გულზე ხელს ხომ ვიბრაგუნებთ? სადღეგრძელოები?! ჰოი! ისევ საქართველო უნდა უნახებდეს ხელს ფიროსმანის გავრცედა და ხელოვნების სტაბილურ მონაწილეობას პროცესებში. გამოფენები გავლენიან სივრცეებში. გამოცემები გავლენიან სერიებში. გავლენიანი ავტორების პუბლიკაციები. დიას, ეს ფული ღირს. მაგრამ ბევრად, ბევრად, ბევრად ნაკლები, ვიდრე ერთი ციდა რამაზოტის კონცერტი დაგვიჯდა. რამაზოტის რატომ გადავეყიდე? იმდენიც არ დაჯდებოდა, რაც დაუჯდა სამინისტროს ბევრი სამარცხნო თეატრალური წარმოდგენა, ახლობელი რეჟისორების წასახალისებლად გამოგონილი. ჩამოვთვლო? მერამდენედ? – კითხულობს ხელოვნებათმცოდნე სოფო კილასონია.

ეპროვიზიოზა უკრაინელმა მომღერალმა გაიყიდა

წლეწანდელი ევროვიზია უკრაინელი კონკურსანტისთვის გახდა წარმატებული. მომღერალი ჯამალა, რომელმაც სიმღერა 1944 შეასრულა, უმაღლესი 534 ქულით ევროფესტივალის უპირობო ლიდერი გახდა.

მეორე ადგილზე 511 ქულით ავსტრალიის წარმომადგენელი გავიდა, ხოლო მესამე ადგილზე 491 ქულით – რუსეთის წარმომადგენელი.

საქართველომ ევროვიზიაზე 104 ქულით მეოცე ადგილი დაიკავა. ნიკა კოჩაროვმა და ჯგუფმა იანგ ჯორჯიან ლოლიტაზმა სიმღერით „შუალამის ოქრო“ უმაღლესი შეფასება, 12 ქულა, ჟიურის ხმებიდან დიდი ბრიტანეთისგან მიიღო. ჟიურის ხმებიდან შემოსული ხმებით 80 ქულა დაგროვდა: სან მარინო 6 ქულა, სომხეთი 10 ქულა, ბულგარეთი 3 ქულა, გერმანია 8 ქულა, რუსეთი 5 ქულა, ბელგია 7 ქულა, დიდი ბრიტანეთი 12 ქულა, საბერძნეთი 5 ქულა, ლიტვა 10 ქულა, უკრაინა 3 ქულა, იტალია 3 ქულა, პოლონეთი 8 ქულა. მაყურებლის ხმებით საქართველომ 24 ქულა მიიღო.

საქართველომ ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო, როდესაც სოფო ხალვაშმა მე-12 ადგილი დაიმსახურა. მომდევნო წელს ქვეყანა ევროფესტივალზე დიანა ლურსკაიამ წარადგინა და მე-11 ადგილზე აღმოჩნდა. საქართველოს მესამე შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული ჯგუფი „სტეფანე და 3 გოგო“ გახდა, თუმცა მოგვიანებით საქართველომ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ოსლოში გამართულ რიგით 55-ე ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი სოფო ნიჟარაძე საუკეთესო ათეულში მოხვდა. მან მეცხრე ადგილი დაიკავა. მისი წარმატება გაიმეორა ჯგუფმა „ელდრაინმა“ და მეცხრე ადგილი შეინარჩუნა. მომდევნო წელს ანრი ჯოსხაძემ ფინალში გადასვლა ვერ შეძლო და ევროფესტივალს ნახევარფინალური ტურიდან გამოეთიშა. სოფო გელოვანმა და ნოდარი ტატიშვილმა ფინალში გადასვლა მოახერხეს და მე-15 ადგილი დაიმსახურეს. მარიკო ებრალიძე და ჯგუფი „შინ“ ევროფესტივალს ნახევარფინალური ტურიდან გამოეთიშნენ, ნინა სუბლატმა კი მე-11 ადგილი დაიკავა.

წლეწანდელი ევროვიზიის სიმღერის კონკურსს სტოკჰოლმში გლოუბ არენაზე უმასპინძლა. შედეგის დედაქალაქში ევროფესტივალზე 61-ე და ჩატარდა. მასში მონაწილეობა 42 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო, თუმცა ფინალში მხოლოდ 26 მათგანი მოხვდა.

პროვზო გიგლიოთიკაში კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი გაიხსნა

15 მაისს, კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას 123-ე დაბადების დღეზე, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი კაბინეტი გაიხსნა. კაბინეტიში წარმოდგენილია მწერლის ლეგენდარული სავარძელი, სათვალე, ბიბლიოგრაფია, უნიკალური სურათები.

იაკობ გოგებაშვილისა და ჭაბუა ამირეჯიბის შემდეგ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტიც შეეძება.

„მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, „გაზის ყვავილობა“, „დიონისოს ლიმიტი“, „დავით აღმაშენებელი“ – ეს იმ ნაწარმოებები მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მწერალმა შთამომავლობას დაუტოვა. მისი ხელწერა და თხრობის მანერა რადიკალურად განსხვავებულია ქართულ სამწერლობო ასპარეზზე, რაც მის გენიალურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

მწერლის კაბინეტის გახსნის პარალელურად, განახლებას საჭიროებს კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი სოფელ ძეგლ აბაშაში. მემორიალურ ბინაში დაცულია უნიკალური ისტორიული ნივთები, კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების ხელნაწერთა ასლები, სხვადასხვა პერიოდის გამოცემები ქართულ, გერმანულ, უკრაინულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ფოტო და დოკუმენტური მასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, გობელენები, ფერწერული ტილოები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის ინფორმა-



ციით, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის განახლება უახლოეს დღეებში დაიწყება. მუზეუმის ტერიტორიაზე ღია სცენა განთავსდება და მიეწყობა გამსახურდიების ჯარგვალის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

დაგეგმილ სამუშაოებს ადგილზე გაცნო სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი ლევან შონია. გუბერნატორის აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მაშუკა კვიტაშვილმა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში არსებული მდგომარეობა და განსახორციელებელი სამუშაოები გააცნო.

გუბერნატორის განცხადებით, ღია

სცენის გამართვა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმს ახალ სიცოცხლეს შესძენს. ახალ სივრცეში სხვადასხვა ლიტერატურული საღამო გაიმართება, იგეგმება კულტურული ღონისძიებების ჩატარებაც.

კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში გასულ წელს გალავანი და ჭიშკარი გაკეთდა, ასევე დამონტაჟდა გარეგანი და ეზოში მოეწყო მოსასვენებელი ადგილები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 32 ათას ლარამდე დაიხარჯა.

სახლ-მუზეუმში ფუნქციონირებს 1982 წლიდან. სახლ-მუზეუმის ეზოში განთავსებულია დამხმარე ნაგებობები. ამჟამად კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში საჭიროებს რესტავრაციას. უკვე 9 წელია, სახლ-მუზეუმში კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფება. ყოველწლიურად 15 მაისს სახალხო დღესასწაული „კონსტანტინეობა“ იმართება.

ოთო ნემსაქა ბაქსისტი ხდება

ჯოვსტარის გამარჯვებული, მომღერალი ოთო ნემსაძე, ტაქსისტი ხდება. ამ პროფესიის შეთავსება მან ქველმოქმედებისთვის გადაწყვიტა. მომღერალს სურს, ტაქსაობით ნაშოვნი ფულით იმ ადამიანებს დაეხმაროს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ და ამისთვის საზოგადოებას თანადგომას სთხოვს.

ოთო ნემსაძე:

– თქვენი თანადგომა მჭირდება. აქ ერთ კარგ იდეას წავანყდი ადრე, ადამიანები ტაქსაობდნენ და მერე ამ ფულით გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ, ჰოდა, მეც გადაწყვიტე ტაქსაობა. იმედია, ბევრი კლიენტი მეყოლება, ბევრ ფოტოსაც გადავიღებთ და ძალიან ბევრ ადამიანსაც გავახარებთ.

17 მაისს, სამშაბათს, დილის 09:00-დან საღამომდე თქვენს განკარგულებაში ვარ, გამომიძახეთ როგორც კომენტარებით, ასევე ნომრით, რომელსაც სამშაბათსვე მივუთითებ, გააზიარეთ და მეგობრებსაც უთხარით, იქნებ ბევრს დასჭირდეს ტაქსი. მადლობა თქვენ, მუდამ თქვენი ოთარა.

სუხიშვილავი საპარტიულო რეგიონალური საკონცერტო ბარნა მართავენ

ანსამბლი სუხიშვილავი საქართველოს რეგიონებში საკონცერტო ტურნეს მართავენ. მოცეკვავეები ხელმძღვანელობასთან ერთად დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და ზუგდიდელი მკურნალების წინაშე კულტურის ცენტრ „ოდიში“ ორსაათიანი პროგრამით წარადგინა.



კონცერტს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათი ოჯახების წევრებიც დაესწრნენ. ანსამბლი ტურნეს ფოთსა და ქუთაისში გააგრძელებს, მოგვიანებით კი საშრეთ საქართველოსაც ექცევა.

– ჩვენი ტრადიციაა, რომ ყოველ წელს გვინდა მოვიაროთ საქართველოს რეგიონებში და გავმართოთ კონცერტები რაიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. ჩვენ ვიცით, გვიყვარს და ვაფასებთ საქართველოს თითოეულ კუთხეს და გვინდა ასეთი ფორმით მოვეფეროთ აქ მცხოვრებ ადამიანებს, – განაცხადა ნინო სუხიშვილმა.

მაშაზადა კვა არეპაშელმა

ნიკა რუჩუა რუსული ტელევიზიის აკრძალვას ითხოვს



კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რუჩუა საქართველოს რუსული ტელევიზიების აკრძალვას ითხოვს. მისი აზრით, ამით მასობრივ ტვინების რეცხვას გაეფრთხილებთ ოკუპანტს.

ნიკა რუჩუა:

– რუსული ტელევიზიები ასაკრძალია, რადგანაც ისინი არა მედია, არამედ ოკუპანტის საინფორმაციო ომის იარაღს წარმოადგენენ.

მონინალდებულები ამბობენ, მაშინ რატომ არ ავკრძალოთ ქართულენოვანი პრორუსული ტელევიზიები და სხვა მედიასაშუალებები. ეს არასწორი ანალოგიაა, იმიტომ, რომ ქართულ მედიას ჩვენი კონსტიტუცია იცავს, ეს ერთი, რუსულს კი – არა. ასევე ამბობენ, სად გაივლის აკრძალვების ხაზი. პასუხი ამაზე – იქ, სადაც დამთავრდება რუსული სახელმწიფო არხებისა და არასახელმწიფო, მაგრამ სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი არხების პროპაგანდა და ფაქტების დამახინჯება, რაც იოლია საიდენტიფიკაციოდ.

ასევე ამბობენ, რას მოგვიტანს ესო. ამას, სანამ ამ ავკრძალავთ, ვერ გავიცვით. როგორც მინიმუმ, იმას მოგვიტანს, რომ მასობრივ ტვინების რეცხვას გაეფრთხილებთ ოკუპანტს. რაც შეეხება ციფრულ მატარებლებს – ვისაც ასე უნდა რუსული არხების ყურება, მათ უყურონ ინტერნეტისა და თეფშების საშუალებით. ჩვენ მთლიანად ვერ შევზღუდავთ ამ პროპაგანდას ტექნოლოგიების გამო, მაგრამ მნიშვნელოვნად შევამცირებთ მის რაოდენობას, რომელიც იმდენად დიდია დღისთვის, რომ ეს რაოდენობა ხარისხში გადადის.

ამიტომ ვერ ვხედავ ამ არგუმენტების წონასა და ლოგიკას, რომ რუსული სახელმწიფო და სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი არხები საქართველოში არ შეიზღუდოს – ისინი უნდა შეიზღუდოს და რაც შეიძლება მაღე. არჩევნების წინ, არჩევნების მიმდინარეობისას და განსაკუთრებით ამის შემდეგ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ საქართველოში სიტუაცია მაქსიმალურად არიონ.

არ უნდა მივცეთ ამის საშუალება ოკუპანტ სახელმწიფოს.



07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00,

09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მთაბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "პირადი ოქსა" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "წანო პარკი" 14.05 "მუსიკოლოგისი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საიდარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდენი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქაშლი" 19.00 "ტელელოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანიან ერთად" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "მთაბე"

08.00 დ/ფ "ინკების მარილი" 09.00 მხ/ფ "გაოპონი" 10.30 დ/ფ "საბერძნეთი-ერეტი" 11.00 ქართ. მხ/ფ "ნარკაზი" 12.30 დ/ფ "ტვინი სარკე-ში" 13.30 "ცეცხლტორი" 15.00, 18.00, 21.00, 22.00, 23.30 "ბრიტანის დრო" 16.00 ტ/სერ. "ნიმიშა" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა 20.00 "მთაბე" (5 ნახე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანამოა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "გაგის კალი" 11.20 სერ. "დასრული სკოლა" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "პაპარაქი" 20.55 სერ. "პალი-ში" 22.00 ცეცხლვარსკვლავები 00.30 მხ/ფ "შეშვლი პირსაღები 2" 01.15 მხ/ფ "გაგ-თეატრი" 02.45 მხ/ფ "თითქმის გათხრობილი" 04.30 სერ. "კონტრაპუნს პირსაღები" 1-2 სერ.

06.30 სერ. "დაპარაკული გაგ-შოუ" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დღიამწვდომისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინსაბი" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "პარადი - სახალხოლო" 16.55 სერ. "იღვარა" 18.45 სერ. "შპე, მხოლოდ სპე" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოგადი უფრო" 22.00 X - ფაქტორი 00.00 გაიცნე და მოგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "პარაკული-პარი ოპიზი" 9.00, 19.30 სერ. "განბალისტი" 10.00, 18.30 სერ. "პარაკი სოლი" 11.00, 3.00 სერ. "გაგის ანარაქიზი" 13.00 სერ. "ქალაქი" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "სამოუკაპოს თამაშები" 23.45 სერ. "ჯოჯოხეთი პირსაღები" 0.40 მხ/ფ "გოგადილის პარაკული პი-უ"

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის

ეკლესია 06.35 პატრიკი 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 დიდ ხარ შენ უფალაო!...აჰამი და ევა 08.30 "განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერსიები 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირეუნი 12.05 მხ/ფ "ღლა პარაკული, ღლა პარაკული" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკონტრუქციული ფლორა "ვალერიან-ბალზამი" 15.10 ქართული ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში 15.45 სპექტაკლი "კასი, რომელსაც ლიბარაპარა უყვარდა" 16.50 დ/ფ "რამიკაშვილები" 17.40 დიდ ხარ შენ უფალაო!... ათი მცენება 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალექსის განმარტება 18.50 ცეცხლი დილოური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "გოგადილის თმა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატრიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 დიდ ხარ შენ უფალაო!...სოლომონ და გომორი 22.30 ძველი ალექსის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვრება 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

გაუასრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "გუშუტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, სერ. "გაგის უფლი და სიზარდალი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბინეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "გაგადილი ანგალონი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "პარაკული" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "გაგის უფლი" 20.00 კონტაქტი რეკა 23.15 სერ. "გაგის უფლი" 21.30 თოქ-შოუ "მეცხრის ფაქტორი" 22.30 სერ. "უსხი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით



გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
<http://www.opentext.ge/akhalioba>

16
მაისისთვის



აშშ
დოლარი
— 2.2068



ინგლისური
სტერლინგი
— 3.1804

ქართული ლარის მიმართ
უხსოვარი ვალუტების
გაცვლითი კურსი



ევრო
— 2.5038



100 რუსული
რუბლი
— 3.3744



კალენდოლოკი

70 წლის ინდოელი დედა გახდა

ინდოეთის ხარიაანის შტატის მცხოვრები 70 წლის ქალბატონი პირველად გახდა დედა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ.




დაღვინდერ კა-ურმა თავისი პირველი შვილი 2016 წლის აპრილში გააჩინა, მაგრამ ამის თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გავრცელდა. ხანდაზმული ქალბატონი ორწლიანი განაყოფიერების ექსტრაკორპორალური კურსის გავლის შემდეგ დაფეხმძიმდა. ბავშვის ბიოლოგიური მამა კაურის 79 წლის მეუღლე გახდა.

საავადმყოფოს მფლობელმა, სადაც ინდოელი ქალბატონი გადიოდა მკურნალობის კურსს, ანურაგ ბიშნოიმ განაცხადა, რომ სკეპტიკურად აფასებდა კაურის დაფეხმძიმების შესაძლებლობას, მაგრამ ყველა ტესტმა დაადასტურა, რომ მისი დაფეხმძიმება შესაძლებელი იყო.

ამგვარად ინდოელმა ქალბატონმა რაჯო დევი ლოჰანის მიღწევა გაიმეორა. იგი 2008 წლის ნოემბერში მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული დედა გახდა, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების გზით დაფეხმძიმდა. ლოჰანი იმ დროს ასევე 70 წლის იყო, თუმცა მისმა მშობიარობამ საკმაოდ რთულად ჩაიარა და მშობიარე სიკვდილს გადაურჩა.

ფაშისტური მისალმების შემსრულებელი ძალის პატრონი დააპატიმრეს

შოტლანდიის პოლიციამ 28 წლის მამაკაცი დააპატიმრა, რომელმაც ინტერნეტში განათავსა ვიდეო, რომელზეც მისი მოპსის ჯიშის ძაღლი ფაშისტურ მისალმებას აკეთებს.



ქალაქ კოტბრი-ჯის მცხოვრები ინტერნეტში შეურაცხყოფილი მისალმების გამოქვეყნების ბრალდებით იქნა დაკავებული. ვიდეოჩანაწერში, რომელიც თავად მამაკაცმა განათავსა, ჩანს, რომ მოპსი უყურებს კინოქრონიკას ადოლფ ჰიტლერზე და შეძახილზე „ზიგ ჰაილ!“ მარჯვენა თათს ზევით სწევს.

როგორც პოლიციაში აღნიშნეს, ამ ვიდეოჩანაწერმა გაა-ნაწყენა და ტკივილი მიაყენა მის მრავალ მნახველს.

— შოტლანდიაში სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის ადგილი არ არის და პოლიცია ამგვარი ინციდენტის თაობაზე ყოველ შეტყობინებას რეაგირების გარეშე არ ტოვებს, — განაცხადა შოტლანდიის პოლიციის პრესმდივანმა დევიდ კობერნმა.

პრინც ჰარის ჯორჯ ბუშის ქალიშვილს ურიგებდნენ

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე პრინც ჰარის ბარბარა ბუშზე, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის ტყუპებიდან ერთ-ერთ ქალიშვილზე დაქორწინება შესთავაზეს. მაქანკლის როლში სავარაუდო საპატარძლოს და ჯენა გამოვიდა.

ენ-ბი-სის პროგრამა თუდვი შოუსთვის ინტერვიუს აღების დროს 34 წლის ჟურნალისტი ჯენა ბუშ-ჰაგერი პრინც ჰარის ორლანდოში სამხედრო ინვალიდების შეჯიბრების დაწყებასთან დაკავშირებით ესაუბრებოდა, რომლის იდეაც თავის დროზე სწორედ პრინცს ეკუთვნოდა.



შემდეგ ჟურნალისტი უფრო პირადულ თემებზე გადავიდა და დაინტერესდა, ანუზებდნენ თუ არა პრინცს ბავშვებზე კითხვებით.

— არ ვიცი, მე ხომ მეგობარი გოგონაც არ მყავს, — უპასუხა 31 წლის ჰარიმ.

ამის შემდეგ ბუშ-ჰაგერმა პრინცს უთხრა, რომ მის დას ბარბარასაც ასეთივე პრობლემა აქვს.

— იქნებ ამაზე ეთერს მიღმა გეცსაუბრა, — სიცილით მიუგო პრინცმა.

ინტერვიუს შემდეგ ჟურნალისტი პრინცს დაჰპირდა, რომ მას „სიძე ჰარიდ“ მოიხსენიებდა.

ტყუპი დები ბარბარა და ჯენა 1981 წელს დაიბადნენ. როდესაც მათი მამა აშშ-ის 43-ე პრეზიდენტად იქნა არჩეული, გოგონები 19 წლის იყვნენ. ბარბარამ განათლება იელის უნივერსიტეტში მიიღო, სწავლის დასრულების შემდეგ კი სმიტსონის ინსტიტუტში მუშაობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



იუმოხი

კაცმა ცოლს საყვარელთან იმ დროს შეუსწრო, როდესაც კაცს ქალის მკერდი პირში ჰქონდა. ქმარი კაცს ეუბნება:

— შე შობელძაღლო, ცოლს ხმარობ, ხმარობ, ბავშვს რატომღა მიტოვებ მშიერს?!

ბიჭმა სახლში სამი გოგონა მიიყვანა, დედას წარუდგინა და ეკითხება:

— დედა, აბა, თუ გამოიცნობ, რომელია ჩემი საცოლე?
— მარჯვნივ რომ დგას.
— როგორ მიხვდი?
— როგორც კი შემოვიდა, ეგრევე მომიშალა ნერვები!

მოდებილო სეროჟა მამას ეუბნება:

— მამი, მარჯვენა და მარცხენა ფეხები ერთმანეთში მერევა.
— როგორ გერევა?
— ვერ გამჩირვია, რომელია მარჯვენა და რომელი მარცხენა.

— ტუტუც, კარგად მომისმინე. მარცხენა ფეხზე ცერა თითი მარჯვნივ გაბია, მარჯვენაზე „ნა-აბაროტ“, რა. გაიგე?

ქალი იმდენ კაცთან იყო ნამყოფი, რომ როდესაც შვილი ეყოლა, ბავშვს ხალხური დაარქვეს!

მოხუცი შვილიშვილს კლუბში გაჰყვა. მოხუცმა უყურა ახალგაზრდების ცეკვას და ბოლოს შვილიშვილს ეკითხება:

— აი რაია, ბაბუ?
— აი ცეკვაა, ბაბუ.
— ამნაირ ცეკვაში, ბაბუ, ექვსი შვილი მყავს გაკეთებული...

ქმარი ცოლს ეუბნება:

— დედაკაცი, ღამით რო დავწევით, ღვინო რო მაშინდება, გამალვიძე!
— კაცო, მე რა გავიგო, შენ ღვინო როდის მოგინდება?
— შენ გამალვიძე, მე ღვინო სულ მინდებია!

ლექტორი სტუდენტებს ეკითხება:

— შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, დაგეგმოს მოსახლეობის ზრდა?

— არა, — პასუხობს ერთ-ერთი სტუდენტი.
— რატომ?
— იმიტომ, რომ წარმოების იარაღი კერძო საკუთრებაშია.

ქალმა ექიმს თავისი გოგონა მიუყვანა და ეუბნება:

— ექიმო, ჩემი გოგონა სულ მუდამ იღიმება. ხომ ვერ მეტყვით, რაშია საქმე?
— თმებს კიდევ უფრო მაგრად თუ შეუკრავთ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

17 მაისიდან

ბი დე მოკასანი

ლამაზი მეგობარი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 3

ნიგინისა და გაზეთის ფასი
11 ლარი

ფინალში ღინაშოს ქუთაისი შეუწყვილდა

ქუთაისი — სოხუმი 93:54
(15:11; 25:13; 25:12; 28:18)

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალისტები ცნობილი არიან. 2 დღის წინ სატიტულო სერიის გასულ ღინაშოს დღეს ქუთაისი შეუერთდა. კოტე ტულუშის განვრთნილმა იმერულმა კლუბმა ნახევარფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტი შეხვედრა ზედმეტი გართულებების გარეშე — 39 ქულით მოუგო სოხუმს და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

სერიის წინა 4 შეხვედრის გათვალისწინებით, მატჩი არ იმსახურებდა ასეთ დიდ სხვაობას. მატჩი წინამორბედებზე უფრო დაძაბული უნდა ყოფილიყო, რადგან წაგებული ჩემპიონობისთვის ბრძოლას ეთიშებოდა. მასპინძლები ყველანაირად მომზადებულები შეხვედრის გადამწყვეტი შეხვედრის დაწყებულთან დასრულებული სერიის საბაბი კოტე ტულუში გუნდს არ მიუცია. მასპინძლებმა ისე რიგინად ითამაშეს, რომ სოხუმელებმა მათ მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწიეს წინააღმდეგობა. დაცვაზე ორიენტირებული და მწარქულები სადებიუტო ნუშების შემდეგ ქუთაისელებმა პირველი პერიოდის 15:11 მოიგეს და მეორე ათწუთულიდან ხელ-ფეხი გაეხსნათ.

უპირატესობის მოპოვება ქუთაისელებმა კომბინირებული თამაშით, როტაციის გამართლებითა და ყველა პოზიციაზე სტაბილური მოქმედებით მოიპოვეს. მიუხედავად გამოსული ქუთაისის კალათბურთელების სასტარტოების სრულფასოვნად ცვლიდნენ, სოხუმელებს კი ამის საშუალება არ ჰქონდათ. გუნდის სასტარტო ხუთეულის წევრები დიდი ხნით ვერ ტოვებდნენ მოედანს, თუმცა ეს მესამე პერიოდის ბოლოსკენ არც გახდა საჭირო. ქუთაისელებმა იმდენად სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, რომ შეხვედრის ბოლო პერიოდმა აზრი დაკარგა.

ქუთაისელები საბოლოოდ რიხით მივიდნენ გამარჯვებამდე — 93:54. ფინალში გასულებს 23 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა, ხოლო სოხუმელთაგან 17 ქულითა და 12 მოხსნით საუკეთესო შედეგი გიორგი ჯგერენიამ დააფიქსირა.

ფინალური სერია ხვალის ქუთაისში დაიწყება. ქუთაისსა და ღინაშოს საჩემპიონო სერიაში მოედნის უპირატესობას რეგულარული ჩემპიონატის მომგები იმერული კლუბი ფლობს.

ვაჟა კვარაცხელია, სოხუმის მთავარი მწვრთნელი:

— ეს თამაში იყო კატასტროფა ჩვენთვის. გუნდი ძალიან გადაიღალა დაძაბული 4 თამაშის შემდეგ. მეორე მიზეზი ისიც იყო, რომ სკამი, ფაქტობრივად, არ გვყავდა. მეტოქემ, პრაქტიკულად, ყველა კომპონენტში გვაჯობა. დიდი მადლობა ქუთაისის გულშემატკივარს, ეს 5 თამაში იყო ნამდვილი საკალათბურთო დღესასწაული. მადლობა მათ, რომ გვაჩვენებენ, რომ ძალიან უყვართ კალათბურთი ქუთაისში.

კოტე ტულუში, ქუთაისის მთავარი მწვრთნელი:

— ვამაყობ, რომ ქუთაისის მწვრთნელი ვარ. გასაცანა ის, თუ როგორ უყვართ კალათბურთი ამ ქალაქში. მადლობა სოხუმს, რომ მიუხედავად დიდი ანგარიშით დამარცხებისა, ღირსეული და დიდი ბრძოლა გაგვიმართეს. დიდი მადლობა გულშემატკივარს. მალე ფინალური სერია იწყება და უნდა მოვემზადოთ ღინაშოსთვის.

მოამზადა მისიელ ფორელიანმა

კახოხი

თარაზულად: 6. ფასიანი ქალაქის სხვა პირისათვის გადაცემის დამადასტურებელი წარწერა; 7. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 8. რისამე განხილვა, შეფასების მიზნით; 9. ვალერი ...; 13. ქვეყნიდან გასვლის ნებართვა საბუთი; 14. ღვინის შესანახი ნაგებობა; 18. შტატი აშშ-ში; 19. ერთგვარი სისტემის რეგოლვერი; 21. გაზაფხულის თვე; 22. ნამდვილად არსებული ნივთი; 23. შევცის კანონთა კრებული შუა საუკუნეებში; 24. ტელეგადაცემა „ერთსულოვნების“ არხზე.

შეგულისხმეთ: 1. გამოწვევით ლორწოვან გარსზე; 2. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 3. რაიმე გზის გარკვეული მონაკვეთი; 4. სპირტიანი სასმელი; 5. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 10. პაპის რეზიდენცია; 11. თავაშვებული დროსტარება; 12. კაპიშონიანი ალპინისტების ზედა ჩასაცმელი; 15. რაიმე ადგილის საერთო ხედი; 16. ავსტრალიის შხამიანი გველი; 17. სიტყვიერი ბრძანება; 20. სურნელოვანი ფოთლებიანი ხე ან ბუჩქი.

შეადგინა ოლივერ კონიამ

